გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№42 (937) 28 - 29 აპრილი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

რა ნიშნით შეარჩია „ქართულმა ოცნებამ" 11 თვითმმართველი ქალაქის მეროზის კანდიდატი

გვ. 3

თბილისის მეტრო შეიძლება აფეთქდეს!

რას ნიშნავს 140-ე საიდუმლო ობიექტი და ვის დაჭერას ითხოვს უფლებადამცველი **ნიკოლოზ მჟავანაძე**

„2012 წელს ეკონომიკის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურმა მიიღეს კანონი, საიდანაც ამოღებულია მეტროპოლიტენის შემოწმების პუნქტი. ამაში ჩართულნი არიან: გიგი უგულავა, ტექნიკური და სამშენებლო სააგენტოს უფროსი გრიგოლ კაკაურიძე, მისი მოადგილე რამაზ ობოლაძე, ასევე ეკონომიკის მინისტრის ნაციონალი მოადგილეები... მივმართავ პრემიერ-მინისტრს, შს მინისტრს, ფინანსურ პოლიციას — ეს პრობლემა სწრაფად მოაგვარონ!"

გვ. 4

რა საფრთხე ემუქრება თაბუკაშვილის ქუჩასა და ვაჟა ფშაველას გამზირს

„საქართველოს ეკონომიკა პოლიტიკოსებმა დავღუპეთ!"

„პარლამენტის ჩხუბი არ მაღიზიანებს. მიტინგებზე პოლიციასა და ხალხს შორის შეტაკებას არ სჯობს, ერთმანეთს დეპუტატებმა დასცხონ?"

გვ. 5

რატომ აღარ უჩივის გიგი უგულავას, როგორ აპირებს 100 000 000-დარიანი ზარალის დაბრუნებას და რა მოიგო „ორ ვარსკვლავში" მონაწილეობით **ვახტანგ რჩეულიშვილმა**

ვინ და რა მეთოდით ასწავლის ახალი სასწავლო წლიდან მეთერთმეტეკლასელებს მეწარმეობას

გვ. 6

„შეგვეშვით, ვერ გაიგეთ, რომ დამოუკიდებლობა გვინდა?!"

აფხაზი ახალგაზრდა „ვერსიის" კითხვებმა გაალიზიანა

გვ. 7

რა მასშტაბური პროექტები იგეგმება დუშეთის რაიონში და როგორ აპირებს ირაკლი ტრიპოლსკი საზღვრისპირა სოფლების დაცლის პრობლემასთან გამკლავებას?

გვ. 8

ტირანი ჩვენშია — ჩვენ ყველას გვაქვს შანსი, ვიყოთ მაკბეტი!

რეჟისორ რეზო შატაკიშვილის სკანდალური პრემიერა

გვ. 9

ქართველი მებაჟეები ინგილოებს დასცინიან?!

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

საქართველო აღმოსავლელ მეზობელ აზერბაიჯანს ლაგოდეხი-ბელაქნის სახელმწიფო საზღვრით უკავშირდება, რასაც ისტორიული ჰერეთი, დღევანდელი საინგილო მოჰყვება. საბჭოთა პერიოდში, მდინარე მაწიმის ორივე მხარეს თითო „ბუტკა“ იდგა და საზღვარსაც სიმბოლურ სახე ჰქონდა. დღეს კი ორივე მხარეს ისეთი ინფრასტრუქტურა და პროცედურებია, რომ ადვილად ხვდები — ნანატრ ევროპამდე ჯერ კიდევ შორია. საბჭოური სისტემის დანგრევის შემდეგ ეს საზღვარი წლების განმავლობაში, მოქალაქეთა ძარცვა-გლეჯის პოლიგონად იყო ქცეული. 90-იანებში და შემდეგაც სასაზღრო-საბაჟო კანონ-წესები არავის ადარდებდა და მგზავრს მეწველ ძროხად აღიქვამდნენ. გასაგები მიზეზების გამო, გარკვეული პროდუქცია (საწვავი, თხილი, ნიგოზი, რძის პროდუქტები) აზერბაიჯანიდან შემოდიოდა და იქაური მებაჟეები წვრილ მოვაჭრეებს „ცხრაპირ ტყავს აძრობდნენ“. ამის გამო, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი ერთ-ერთ სარფიან სამუშაო ადგილად მიიჩნეოდა...

საქართველოსა და მათ შორის ლაგოდეხის სასაზღვრო პუნქტზე წვრილი კორუფციის აღმოფხვრისა და საზღვრის ევროპულ ყაიდაზე მოწყობის შემდეგ, აზერბაიჯანული მხარეც დაფაცურდა და ცოტა გადაამლაშა კიდეც: იმხელა სასაზღვრო ქალაქი მოაწყო, ევროპა კიდევ უფრო შორს დარჩა. მგზავრს ფეხით იმხელა გზის გავლა უწევს, ადვილი მისახვედრია, ამ ქვეყნის ხელისუფლებას ევროპული მომავალი, სასაზღვრო ლიბერალიზაცია და მსგავსი პერსპექტივები ნაკლებად აღელვებს. ქართულ მხარეს ბევრად გამარტივებული და მისაღები ვითარებაა — საპასპორტო შემოწმება და ბარგის საბაჟოზე გატარება იოლია, ფეხით გასავლელიც მცირეა, მაგრამ ბოლო დროს ხარვეზები აქაც გამოჩნდა, რაც ყოვლად მიუღებელი და ყურადსაღებია. კერძოდ, ზოგჯერ მებაჟე კანონს არაფრად დაგიდევს და გადაწყვეტილებას გადასატანი პროდუქციის ოდენობაზე თვითნებურად იღებს. წინა ხელისუფლებისას კი კანონი არ ადარდებდათ და კედელზე გაკრული ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედებდნენ.

„ვერსიას“ ერთ-ერთი მგზავრი თემურ ნ. დაუკავშირდა და უსიამოვნო შემთხვევის შესახებ უამბო:

„ლაგოდეხის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე მომხდარმა ფაქტმა, რამდენიმე წამით, გულისცემა გამიჩერა და სისხლი გამიყინა: ბებოს კახიდან (საინგილოს ერთ-ერთი რაიონი) მარწყვის ძირები და პომიდვრის ჩითილი მოჰქონდა. გვერდში პატარა შვილიშვილი ჰყავდა, ისე ჩანდა, თითქოს ერთმანეთს ეხმარებიან და ამხნევებენო. სასაზღვრო კონტროლის გავლისას, მათ უკან აღმოვჩნდი. ერთმა მებაჟემ შორიდანვე დაინახა ჩითილი, ბებოს მიუახლოვდა და ეუბნება, ქალბატონო, თუ შეიძლება, ჩითილი გადაყარეთ... გამოვექომაგე — კი, მაგრამ კანონით, ნახევარ კილოგრამამდე გადმოტანის უფლება ხომ აქვს-მეთქი. ნახევარ კილოზე მეტიაო, — მიპასუხა მებაჟემ.

ბებოს ჩანთა ამოუქექეს და ჩითილის ნაწილი ნაგვის ურნაში ჩაუძახეს. ამ დროს მეორე მებაჟე გამოჩნდა, რომლის ცივსისხლიანი გამოხედვაც არასოდეს დამავიწყდება და მოხუცს მიაძახა — რა არის, ქალბატონო, საქართველოში აღარ იშოვება ჩითილი, ურჯულოებისმიწიანი ძირები რომ შემოგაქვსო?

თვალცრემლიანმა ბებომ უპასუხა — შენისთანა ვაიქართველების ბრალია, საზღვრის გავლა რომ მჭირდება საქართველოში შესასვლელადო...

კიდევ კარგი, პატრულის პატიოსანი თანამშრომელი შემოგვესწრო, თორემ საქმე ცუდად წავიდოდა.

ვინც ამ მებაჟეს (სამწუხაროდ, ასეთები მრავლადაა) სკოლაში ისტორია ასწავლა, მერე უნივერსიტეტში და საერთოდ, ვინც სამსახურში მიიღო, იმ ხალხს უნდა მიადგე და პასუხი მოსთხოვო.

როცა ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ ისტორიულ ჰერეთზე იტყვი, ურჯულოების მიწაოო, ვინ უნდა იყო და საიდან უნდა მოდიოდე?“

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტსა და ვარშავის 200-წლოვან სასწავლებელს შორის მემორანდუმი გაფორმდა

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტსა და ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. როგორც პოლონური სასწავლებლის რექტორმა, ალოზი ზიმანსკიმ განაცხადა, პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„არჩევანი თბილისის სასწავლო უნივერსიტეტზე სპეციალურად შევაჩერეთ, რადგან ეს სასწავლებელი საქართველოში, პრაქტიკულად, ერთადერთი კერძო დაწესებულებაა, რომელიც ახალგაზრდებს აგრო-კუთხით ამზადებს“, — განაცხადა ზიმანსკიმ.

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ სოლომონ პავლიაშვილის თქმით, ვარშავის პრესტიჟულ უნივერსიტეტთან დადებული მემორანდუმი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლას, ახალი პროგრამების შემუშავებას, ერთობლივი კვლევითი და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას, აკადემიური პერსონალის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და სასწავლო მასალების გაცვლას ითვალისწინებს.

პავლიაშვილისვე თქმით, 21-26 მაისს, ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტს დაარსებიდან 200 წლისთავი უსრულდება და საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობას თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დელეგაციაც მიიღებს.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

ხურვალეთიდან გატაცებული სამი ქალბატონი გაათავისუფლეს

სოფელ ხურვალეთიდან გატაცებული სამი ქალბატონი 6 000 რუბლის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. ხურვალეთის მოსახლეობა დაკავებულების გათავისუფლებისთვის მადლობას ოს მეზობლებს უხდის და აცხადებს, რომ ჯარიმაც მათ გადაიხადეს.

რუსუდან ხუროშვილი, ზეინაბ ხარხელი და ლალი ხუროშვილი ე.წ. რუსმა მესაზღვრეებმა ქართული მხარის მიერ კონტროლირებად სოფელ ხურვალეთში 25 აპრილს, ე.წ. საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს.

„ვერსიანიუსი“

შსს ადმინისტრაციული სახდელის ვადის გაზრდის ინიციატივით გამოდის

ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ვადა 4-თვემდე იზრდება, ამას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც განსახილველად პარლამენტს უკვე წარედგინა.

დღეს, ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადად განსაზღვრულია არაუგვიანეს ორი თვე სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, შსს კი აღნიშნული ვადის 4-თვემდე გაზრდის ინიციატივით გამოდის, რაც უწყების შეფასებით, საკმარისი იქნება იმისთვის, რომ სამართალდამრღვევი პირი პასუხისმგებლობის მიღმა არ დარჩეს.

„ადმინისტრაციული სახდელი პასუხისმგებლობის ზომას წარმოადგენს და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე, როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევის ჩადენის აცილების მიზნით. მიგვაჩნია, რომ სამართალდარღვევის დღიდან სახდელის დადების 2-თვიანი ვადა საკმარისი არ არის იმისთვის, დამრღვევმა მის მიერ ჩადენილ დარღვევაზე ადმინისტრაციული წესით პასუხი აგოს, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ ამ მცირე ვადის გამო პირი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომისგან თავისუფლდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სახდელის დადების 2-თვიანი ვადის გაშვება ხშირ შემთხვევაში ხდება ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში ხანგრძლივი წარმოების გამო. ასევე ხშირია სამართალდამრღვევის მიერ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვების ფაქტები. ასეთ შემთხვევაში სამართალდამრღვევის დაკავება, ძირითადად, ხდება სწორედ 2-თვიანი ვადის გასვლის შემდგომ, რის გამოც შეუძლებელია სახდელის ზომის გამოყენება და სამართალდამრღვევი პირი სახდელდაუდებელი რჩება“, — განმარტავს შინაგან საქმეთა სამინისტრო, კანონპროექტს თანდართულ განმარტებით ბარათში.

„ინტერპრესნიუსი“

სტამბოლის აეროპორტში ქართველი ფეხბურთელი დააკავეს

სტამბოლის აეროპორტში ქართველი ფეხბურთელი, 16 წლამდელთა ნაკრების წევრი დააკავეს. ინციდენტი 26 აპრილს მოხდა, როდესაც ნაკრები მაკედონიიდან საქართველოში, თურქეთის გავლით ბრუნდებოდა.

„ფეხბურთელი ბორტგამცილებელს გაეხუმრა, რომ მას თან ჰქონდა ე.წ. საათი ბომბი. ეს იყო ხუმრობა, ცხადია, თუმცა პილოტმა გადაწყვიტა, პოლიციისთვის ეცნობებინა. თვითმფრინავი დაცალეს და რეისი სამი საათის დაგვიანებით განხორციელდა. ფეხბურთელი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. იგი დაკითხვის შემდეგ, დაახლოებით 1 საათში, ყოველგვარი ჯარიმის გარეშე გაათავისუფლეს“, — განაცხადეს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურში.

დაკავებული ქართველი ფეხბურთელის გათავისუფლებაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს საელჩო თურქეთში და ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთელის ვინაობა არ სახელდება, ვინაიდან იგი არასრულწლოვანია. საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები (1998 წელს დაბადებულები) მაკედონიაში, Development Cup-ის გათამაშებაზე იმყოფებოდა.

„ინტერპრესნიუსი“

რიყე-ნარიყალას საბაგირო გზა მუშაობას დროებით წყვეტს

თბილისის მერიის ცნობით, 28 აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით, ტექნოლოგიური პროცესებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოებისა და გამწევი ბაგირის შეცვლასთან დაკავშირებით, რიყე-ნარიყალას საბაგირო გზა მუშაობას დროებით შეწყვეტს.

„რიყისა და ნარიყალას დამაკავშირებელი საბაგირო 2012 წლიდან ემსახურება თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს. გახსნის დღიდან დღემდე საბაგირო 1 298 124 მგზავრს მოემსახურა. აღნიშნული გეგმური სამუშაოების განხორციელებაც სწორედ მგზავრების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის ხორციელდება“, — აღნიშნულია მერიის განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

ბარაკ ობამა: „რუსეთს კონფლიქტის გადასაწყვეტად თითი თითზე არ დაუკარებია!“

რუსეთმა უნდა შეწყვიტოს უკრაინაში სიტუაციის დესტაბილიზაცია, — ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მალაიზიაში ვიზიტისას განაცხადა. **„უნდა გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები, რომელთა მიზანი იქნება რუსეთს ვუთხრათ, რომ მისი ქმედებები უკრაინის აღმოსავლეთსა და სამხრეთ რეგიონებში დესტაბილიზაციის გამომწვევია და უნდა შეწყდეს“,** — აღნიშნა ობამამ და დასძინა, რომ რუსეთს თითი თითზე არ დაუკარებია კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით.

ამასთან, ბარაკ ობამას თქმით, აშშ რუსეთს დამატებით შეზღუდვებს დაუწესებს. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ევროპასა რუსეთზე ზეწოლის საქმეში ერთიანობისკენ მოუწოდა.

„ჩვენი პოზიცია უფრო ძლიერი იქნება, თუ პრეზიდენტი პუტინი დაინახავს, რომ აშშ და ევროპა ისევე, როგორც მთელი მსოფლიო, ერთიანია და არა იმას, რომ ესაა კონფლიქტი რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის“, — განაცხადა ბარაკ ობამამ.

„ინტერპრესნიუსი“

რა ნიშნით შეარჩია „ქართულმა ოცნებამ“ 11 თვითმმართველი ქალაქის მერობის კანდიდატი

ეროსუდან შელია
557-100-768

შოთა მურღულია, გიორგი ერმაკოვი, პლატონ კალმახელიძე, რატი ნამგალაძე, დავით ჯიქია, გიორგი კოპაძე, ავთანდილ ნემსიწვერიძე, ირაკლი გოგოხია, ირაკლი კაკულია, ზურაბ ჯირკველაშვილი და ბეგლარ სიორიძე — ეს ადამიანები 11 თვითმმართველ ქალაქში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატები არიან, რომლებიც ირაკლი ღარიბაშვილმა საზოგადოებას სპორტის სასახლეში წარუდგინა. პრემიერ-მინისტრმა თითოეული მათგანის ბიოგრაფიასაც გაუსვა ხაზი, თუმცა განსაკუთრებული ეპითეტებით თბილისის მერობის კანდიდატი დავით ნარმანია შეამკო: „დარწმუნებული ვარ, ბატონი დავითი დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს და ჩვენს დედაქალაქს მისი სახით შესანიშნავი თავკაცი ეყოლება. დავით ნარმანია დაჯილდოებულია ყველა იმ თვისებით, რომელიც კარგ მერს უნდა ჰქონდეს, არის მეცნიერებათა დოქტორი და ამავე დროს, შესანიშნავი მენეჯერი და მეურნე. იგი მთავრობაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მინისტრიც გახლდათ, დარწმუნებული ვარ, თბილისელები თბილისის მერის უაღრესად საპატიო მანდატს სწორედ მას ანდობენ“...

„ქართულმა ოცნებამ“ სპორტის სასახლეში საარჩევნო კამპანია ლოზუნგით — „ერთად ვიზრუნოთ საქართველოზე!“ და ორკესტრის მიერ შესრულებული მუსიკის ფონზე ოფიციალურად გახსნა. ღონისძიებას მინისტრთა კაბინეტი, საპარლამენტო უმრავლესობისა და პარტიის წევრები, მხარდამჭერები და, რაც მთავარია, ყოფილი პრემიერი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი ესწრებოდა, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილი სიტყვით გამოსვლისას მიესალმა:

„მინდა გაცნობოთ, რომ დღეს, ამ დარბაზში, ჩვენთან ერთად იმყოფება ჩემთვის ყველაზე პატივსაცემი ადამიანი. ადამიანი, რომელმაც ორი წლის წინ სასწაული მოახდინა. მივესალმოთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს“, — ამ სიტყვების გაგონებაზე, ღონისძიების დამსწრე საზოგადოება ფეხზე წამოდგა და ყოფილ პრემიერს ოვაციებით შეხვდა.

მოწვეულ საპატიო სტუმართა შორის გია კორკოტაშვილს, ჯაბა ჯიშკარიანსა და მელორ ვაჩნაძესაც შეხვდებოდით. მედიასთან მჭერმეტყველებით გამორჩეული მელორ ვაჩნაძე, ღონისძიების შეფასებისას, რატომღაც სიტყვაძუნწი აღმოჩნდა და „ვერსიასთან“ საუბრისას იმის თქმაც გაუჭირდა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის ოფიციალურ გახსნაზე ვისი მიწვევით იმყოფებოდა — ვიღაცამ მომიწვია, ახლა ვერ დაგელაპარაკებით, მოგვიანებით დამირეკეთო.

საარჩევნო კამპანიის გახსნის ცერემონია 10 წუთის დაგვიანებით დაიწყო და თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. სპორტის სასახლეში შეკრებილებს პირველმა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა კახი კალაძემ მიმართა, რომელმაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თითოეული მოქალაქისთვის საკუთარი ოჯახისა და ქვეყნის წინაშე უმნიშვნელოვანეს ტესტად გამოაცხადა, კოალიციას კი მორიგი დემოკრატიის გამოცდის წარმატებით ჩაბარება უწინასწარმეტყველა:

„ადგილებზე პასუხისმგებლობა, თავად თქვენ, ამომრჩეველმა უნდა აიღოთ. საკუთარ ქალაქებსა და სოფლებს თქვენ უნდა მოუაროთ და საკუთარი ქვეყნის მომავალი შექმნათ, რადგან სახელმწიფოს მშენებლები ხართ! ამ გამოცდას კი წარმატებით ჩავაბარებთ, ეს ჩვენი ვალდებულებაა... ერთად ავიღოთ პასუხისმგებლობა საკუთარ დაბაზე, თემზე, სოფელსა და ქალაქზე. ძლიერი თვითმმართველობა ძლიერი საქართველოა. დღეს ქვეყნისთვის, ამ მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ეტაპზე, ისევ ერთად ვართ. საბოლოო და სრულ გამარჯვებამდე კი, მხარდამხარ მივალთ. ჩვენი კანდიდატები წელიწადნახევრის წინ მოპოვებულ გამარჯვებას გაამყარებენ“.

კახა კალაძე სცენაზე პრემიერ-მინისტრმა ჩაანაცვლა, რომელმაც წინამორბედი გამომსვლელის მსგავსად, თვითმმართველობის არჩევნების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მოგვიანებით, გლობალურ საკითხებსაც შეეხო და ყურადღება ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა-დამკვიდრებაზეც გაამახვილა, გამოსვლა კი, საქართველოს გამთლიანების პერსპექტივებზე საუბრით დაასრულა: **„უამრავი გახმაურებული საქმის დასრულებას ველით, მიუხედავად ამისა, სამართლიანობის დამკვიდრება კანონის სრული დაცვით უნდა მოხდეს. არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, კანონის წინაშე სრულ თანასწორობა პოლიტიკურ ანგარიშსწორებად გამოაცხადონ, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ სასამართლო და პოლიცია პოლიტიკური ზეწოლისგან გაათავისუფლა. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, მათ გადაწყვეტილებებში ხელისუფლება არ ერევა... ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ჩვენსკენ ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები მოვატრიალოთ, საქართველო მათთვისაც უნდა გავხადოთ ეკონომიკურად და არა მარტო ეკონომიკურად მიმზიდველი და სასურველი ქვეყანა. მჯერა, დადგება დრო და ჩვენი სამშობლო ისევ ერთიანი და ძლიერი იქნება“.**

ღონისძიების ბოლო გამომსვლელი კოალიციის თბილისის მერობის კანდიდატი დავით ნარმანია იყო, რომელიც თბილისელებს მილიონ ხესა და სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსებას დაპირდა:

„ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება გვაქვს. თბილისი წლების განმავლობაში კატასტროფული მასშტაბის პარკების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნების, სკვერების, ტყეების განადგურების ტერიტორიად იქცა, ამიტომ ქალაქის ეკოლოგიაზე, ტყის აღდგენასა და რეკრეაციული ზონების გაფართოებაზე ვიზრუნებთ. დედაქალაქში 1 მილიონამდე ხეს დავრგავთ და გავახარებთ. არც ერთ სამშენებლო პროექტს მერია არ დაამტკიცებს, თუ მასში გამწვანებისა და პარკირების კომპონენტები გათვალისწინებული არ იქნება. სრულად მოვაწესრიგებთ სანიაღვრე სისტემასაც. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით გავასუფთავებთ მდინარე მტკვარს, გვაქვს ინტეგრირებული მართვის გეგმა, რომლის მიხედვითაც მტკვარი სარეკრეაციო ზონად გამოცხადდება. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში თბილისის მერია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად 800 მილიონ ლარზე მეტს დახარჯავს. სოციალურად დაუცველი ოჯახი კი, ახალდაბადებულ ბავშვზე 500-ლარიან დახმარებას მიიღებს. გავზრდით სოციალური დახმარების პაკეტს, ხოლო სოციალური პაკეტით ვინც ვერ სარგებლობს, ინდივიდუალურ დახმარებას გავუწევთ. გაფართოვდება თბილისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების პროგრამა, განახლდება თბილისის საბინაო ფონდი“.

პრემიერ-მინისტრის მიერ დასახელებულ მერობის კანდიდატებს გამარჯვებას თანაპარტიელებიც უწინასწარმეტყველებენ. საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, გიორგი ვოლსკის განცხადებით, მერობის კანდიდატების შერჩევის პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, თუმცა საბოლოოდ, ღირსეულები დასახელდნენ.

კოალიციის მიერ დასახელებული მერობის კანდიდატების გამარჯვებაში ეჭვი არც უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძეს ეპარება:

„მერობის ყველა დასახელებულ კანდიდატს გამარჯვების 100%-იანი შანსი ორი მარტივი მიზეზის გამო აქვს: ღირსეული პიროვნებები არიან და „ქართული ოცნებას“ წარმოადგენენ. ამ პოლიტიკურ ძალას კი, დღეს საზოგადოებაში ყველაზე მაღალი ავტორიტეტი და რეიტინგი აქვს“.

ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ ჭკუასელი კი ყურადღებას კანდიდატების მენეჯერულ თვისებებზე ამახვილებს:

„კანდიდატების შერჩევისას აქცენტი მენეჯერულ თვისებებზე გაკეთდა — მეოჯახე ადამიანები შეირჩა, რომლებსაც საკუთარი ოჯახის მართვა წარმატებით შეუძლიათ. „ქართული ოცნების“ კანდიდატების უმრავლესობა პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვიდა, ამიტომ, წინამორბედების მსგავსად, ხელისუფლებაში ყოფნა საშოვრისთვის კი არა, სასარგებლო საქმის საკეთებლად უნდათ“.

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალური გახსნა საქართველოს ჰიმნით დასრულდა, რომელიც მომღერალმა ნატო მეტონიძემ შეასრულა. ღონისძიების დამაგვირგვინებელი შტრიხი კი, დარბაზში ჩამოყრილი ვერცხლისფერი და ლურჯი ქაღალდები იყო...

ვერსიანიუსი

შსს-მ კიბერდანაშაულისა და ჯგუფური თაღლითობის მცდელობა აღკვეთა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს და მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა ჩატარებული ერთობლივი ღონისძიების შედეგად, 2014 წლის 19 აპრილს, კიბერდანაშაულისა და დიდი ოდენობით ჯგუფური თაღლითობის მცდელობის ფაქტები აღკვეთეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2014 წლის 18 აპრილს, დაახლოებით 20 საათსა და 45 წუთზე დავით ი-სთვის ცნობილი გახდა „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ პირველი კატეგორიის პრიზის მომგებიანი ციფრები — 5, 9, 15, 19, 30, 32. დავით ი. მუშაობდა შპს „საქართველოს ფოსტის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორად. მის სამსახურებრივ მოვალეობაში შედიოდა შპს „საქართველოს ფოსტის“ და შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება.

მან ისარგებლა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, ვინაიდან შეუფერხებელი წვდომა ჰქონდა შესაბამის სერვერთან და ხელოვნურად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე შეცვალა კომპიუტერული მონაცემი და შექმნა უნიკალური კოდის მქონე ლოტოს ყალბი მომგებიანი ბილეთი, სადაც მითითებული იყო ზემოაღნიშნული ციფრები.

ხსენებული ბილეთის ქსელში დარეგისტრირებისთანავე პირველი საპრიზო კატეგორია — ჯეკპოტი 561 176 ლარის ოდენობით გათამაშებულად გამოცხადდა, თუმცა დავით ი-მ დანაშაულებრივი განზრახვა თანხის თაღლითურად დაუფლების თაობაზე ბოლომდე ვერ მიიყვანა, ვინაიდან იგი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ამხილეს და დააკავეს.

2014 წლის 20 აპრილს დავით ი-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ს 19-180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტი), სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამზადების ფაქტი) და სსკ-ს 286-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ “ ქვეპუნქტით (კიბერდანაშაული, კომპიუტერული მონაცემის უნებართვო შეცვლის ფაქტი).

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ დავით ი. დანაშაულის ჩადენის დროს მოქალაქე სოფიო ყ-სთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა. დავით ი-ს მიერ დამზადებული ლოტოს ყალბი მომგებიანი ბილეთი სოფიო ყ-მ გამოიყენა 561 176 ლარის ოდენობით ჯეკპოტის თაღლითურად დაუფლების მიზნით.

2014 წლის 26 აპრილს, სოფიო ყ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ს 19-180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით, ჯგუფურად ჩადენილი თაღლითობის მცდელობის ფაქტი) და სსკ-ს 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ჯგუფურად დამზადების ფაქტი). საქმეზე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს შსს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს საგამოძიებო მთავარი სამმართველო.

„ვერსიანიუსი“

თბილისის მეტრო შეიძლება აფეთქდეს!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„მარჯანიშვილი“, „ავლაბარი“, „გოცირიძე“ — ეს იმ მეტროსადგურების არასრული ჩამონათვალია, სადაც რამდენიმეთვიანი შუალედებით, ხანძარი გაჩნდა. საბედნიეროდ, მსხვერპლი არც ერთ მათგანს მოჰყოლია, მაგრამ ურიგო არ იქნება, მეტროსადგურების ტექნიკური უსაფრთხოება მანამ შემოწმდეს, ვიდრე მორიგი ხანძარი უბედური შემთხვევით დასრულდება! მიწისქვეშა ტრანსპორტის უსაფრთხოებაზე პასუხს, წესით, მხოლოდ მეტროპოლიტენის შიდასამსახურები კი არა, დამოუკიდებელი უწყებებიც უნდა აგებდნენ, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებათდამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე ამტკიცებს, რომ 2010 წლის შემდეგ, მეტროსადგურების მდგომარეობა აღარავის შეუმოწმებია. მეტიც, რამდენიმე მეტროსადგური, ძვირადღირებული უწვადი მასალების ნაცვლად, იაფფასიანი პლასტმასით შეკეთდა. მაინც როგორ იქცა მსოფლიოს ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტი საქართველოში „დანაღმულ ველად“?

რა საფრთხე ემუქრება თაბუკაშვილის ქუჩასა და ვაჟა ფშაველას გამზირს, რას ნიშნავს 140-ე საიდუმლო ობიექტი და ვის დაჭერას ითხოვს უფლებადამცველი ნიკოლოზ მჟავანაძე

„გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტია, მეტრო საევაკუაციო ქსელიცაა. ღმერთმა დაგვიფაროს, რუსეთმა ჩვენი დედაქალაქი რომ დაბომბოს, ხალხმა თავი სწორედ მეტროს უნდა შეაფაროს. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, რამდენიმე მეტროსადგური, კერძოდ „წერთელი“, „ახმეტელი“, „რუსთაველი“ და „300 არაგველი“ სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, პლასტმასებით შეკეთდა. საუბარია გვირაბებსა და მოსაცდელ ბაქნებზე. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ამ მეტროსადგურების სარეაბილიტაციოდ გამოყენებული მასალა ადვილად აალებადია, რაც კანონის უხეში დარღვევაა“, — აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

არსებობს საქართველოს შს მინისტრის ბრძანება 449 საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ, რომლის მეოთხე პუნქტშიც ვკითხულობთ: **„საევაკუაციო გზების (დერეფნები, კიბის უჯრედები, ვესტიბიულები, ჰოლები და ა.შ.), კედლებისა და ჭერის მოსაპირკეთებლად, აგრეთვე მიწისქვეშა სათავსებსა და სადგურების ვესტიბიულებში რეკლამის მოწყობისას დასაშვებია მხოლოდ უწვი მასალის გამოყენება“**. როგორც ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, არ არსებობს დასკვნა იმის შესახებ, რომ სარეაბილიტაციოდ გამოყენებული მასალა უსაფრთხოა და მოკლე ჩართვის შემთხვევაში მთელი მეტროსადგრი ცეცხლის ალში არ გაეხვევა:

„ისიც საეჭვოა, რომ, როცა რეაბილიტაცია დასრულდა, ამ სადგურების ჩაბარების აქტს ხელი არავინ მოაწერა ანუ დანაშაული თავის თავზე, რეალურად, არავინ აიღო. ჩვენ სწორედ ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის ის თანამშრომლები დაგვიკავშირდნენ, ვინც ამ საქმეში უშუალოდ მონაწილეობდნენ. აქამდე სხვადასხვა ტექნიკური მიზეზით, პატარა, ლოკალური ხანძრები ხდებოდა, მაგრამ ერთხელაც, სერიოზული ხანძარი რომ გაჩნდეს, შესაძლოა, ათეულობით ადამიანი დაიღუპოს. სხვათა შორის, ამ მცირე ტექნიკური გაუმართაობის მიზეზი ისაა, რომ 2010 წლის შემდეგ მეტროსადგურები საერთოდ არ შემოწმებულა. 4 წელია, არავინ იცის, რა მდგომარეობაშია გვირაბები, სად რამდენი წყალი ჩადის და ა.შ. მეტროპოლიტენს თავისი შიდასამსახური, ცხადია, ჰყავს, მაგრამ მათ დამოუკიდებელი სტრუქტურა არ ამოწმებს. ვესაუბრეთ მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობასაც და მივიღეთ პასუხი, რომ გამოყენებული მასალა სტანდარტებს აკმაყოფილებს, მაგრამ ეს სიცრუეა! თუ ასე არ არის, წარმოადგინონ ექსპერტიზის პასუხები, ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ ეს თემა უნდა შეისწავლოს, დაიდოს დასკვნა, შეკეთდა თუ არა მეტრო აალებადი მასალით და, თუ ეს დადასტურდა, მაშინ პლასტმასები სასწრაფოდ სხვა მასალით უნდა შეიცვალოს. სჯობს, გაბზარულ კედლებს უყურო, ვიდრე მოქალაქეების სიცოცხლეს ყოველდღე საფრთხე ემუქრებოდეს. ამ საკითხს ბოლომდე მივყვებით — ყველა ინსტანციას, მათ შორის პროკურატურასაც ოფიციალურად წერილობით მივმართავთ. ეს ხომ სამართლიანობის აღდგენის ყბადაღებული თემა არაა — საქმე ათასობით მოქალაქის სიცოცხლესა და უსაფრთხოებას ეხება!“

რამდენიმე საგანგაშო ფაქტის შესახებ დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტი **გიორგი ნიკოლაიშვილიც** საუბრობს და ამბობს, უტყუარი ინფორმაცია მეტროპოლიტენის ერთ-ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა მიანოდა. გიორგი ნიკოლაიშვილი იმ კონკრეტულ გვარებსაც ასახელებს, ვინც მეტროპოლიტენის უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი:

„140-ე საიდუმლო ობიექტის შესახებ რამე გსმენიათ? ეს სპეცდანიშნულების ობიექტი გაუმაგრებელი გვირაბია, რომლის ნაწილი ყოფილი პიონერთა სასახლის ქვეშ გადის. იცით, „რუსთაველი 2“ ხაზის არსებობის შესახებ? ეს „რუსთაველი 2 — ვარკეთილის“ 600-მეტრიანი გვირაბია, რომელიც ასევე გაუმაგრებელია. თაბუკაშვილის ქუჩა, რომელიც ოპერის უკან მდებარეობს, შესაძლოა, საერთოდ მიწის ქვეშ ჩავარდეს, რადგან გაუმაგრებელი გვირაბი მიწის ზედაპირიდან 40 მეტრზეა. იცით, რა მდგომარეობაშია მეტროსადგურ „ახმეტელთან“ სამოქალაქო თავდაცვის ობიექტი ან რა ხდება ნავთლუღში?! საბურთალოს ხაზის გაჭრა რომ უნდათ, ეგ გვირაბი უკვე არსებობს და ისიც გაუმაგრებელია, ასე რომ, შესაძლოა, ვაჟა ფშაველას გამზირის ნაწილიც მიწაში ჩავარდეს. 6-ბალიან სეისმურ ზონაში ვიმყოფებით და გამორიცხული არაა, რამდენიმე ძლიერ რყევას დედაქალაქში მსხვერპლი მოჰყვეს. არც ის ვიცით, რა მდგომარეობაშია წყალსაქაჩი ტუმბები, სპეცსადენები და ა.შ. ყოველ წელიწადს ახალი ბზარების თავიდან ასაცილებლად გამაგრებითი სამუშაოები უნდა ტარდებოდეს, მაგრამ ამაზე ფული არ იხარჯება და ხალხის სიცოცხლე ფეხებზე ჰკიდიათ! სასწრაფოდ უნდა დაიწყოს გაუმაგრებელი მეტროსადგურების კონსერვაცია, რასაც თავისი წესი და რიგი აქვს და საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. იმასაც გეტყვით, რომ იმ პლასტმასის წვის შედეგად, რაც რამდენიმე მეტროს გვირაბშია აკრული, მაგალითად, „წერეთელზე“, უამრავი მომწამლავი ნივთიერება გამოიყოფა. შესაბამისად, ხანძრის დროს, ცეცხლს რომ გადაურჩეს, ხალხი კვამლში დაიხრჩობა და გვირაბიდან ამოსვლას ვერ მოასწრებს...

2012 წელს, ეკონომიკის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურმა მიიღეს კანონი „უსაფრთხო პროდუქტის შესახებ“, საიდანაც ამოღებულია მეტროპოლიტენის შემოწმების პუნქტი. ეს უკვე პოლიციის, პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის გასარკვევია. ამაში ჩართულნი არიან თბილისის მერია და ეკონომიკის სამინისტრო. ვასახელებ გვარებს: გიგი უგულავა, ტექნიკური და სამშენებლო სააგენტოს უფროსი გრიგოლ კაკაურიძე, მისი მოადგილე რამაზ ობოლაძე, ასევე ეკონომიკის მინისტრის ნაციონალი მოადგილეები, რომლებიც კვლავ ძველ პოსტებს იკავებენ და ამ საკითხებს კურირებენ, ამიტომ მივმართავ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეს, ფინანსურ პოლიციას — ნება იბოძონ და ეს პრობლემა სწრაფად მოაგვარონ!“

რა დაჯდა 2010 წელს მეტროსადგურების რეაბილიტაცია, რა მასალით მოპირკეთდა მეტროს გვირაბები, არის თუ არა ეს მასალა ადვილადაალებადი, რატომ არ ამოწმებს თბილისის მეტროს არც ერთი დამოუკიდებელი სტრუქტურა და რა ელის თბილისის ცენტრალურ უბნებს, რომლის ქვეშაც გაუმაგრებელი გვირაბები გადის? — ამ კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალება თბილისის მერიასაც მივეცით. არასამთავრობო ორგანიზაციის ბრალდებებს შს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ პრესცენტრის წარმომადგენელმა, თამაზ რობაქიძემ უპასუხა:

„2010 წელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, განხორციელდა მეტროსადგურ „დიდუბის“ სარემონტო სამუშაოები. გაფორმებულია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები, კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესრულებულ სამუშაოებზე არსებობს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნები. სამუშაოების საერთო ღირებულებამ 716 043 ლარი შეადგინა... ჩვენმა კომპანიამ მიიღო საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის, საშიშ საწარმოო ობიექტთან დაკავშირებული საქმიანობის ორი უვადო ნებართვა: ნებართვა №05/142-„საშიში საწარმოო ობიექტების (ესკალატორების, ტვირთამწე მექანიზმების, ლიფტებისა და წნევაზე მომუშავე ჭურჭლების) ექსპლუატაცია“ და ნებართვა №01/133 „თბილისის მეტროპოლიტენის მიწისქვეშა გამონამუშევრების და ხელოვნური ნაგებობების ექსპლუატაცია, ტექნოლოგიურ ციკლში არსებული სამთო მანქანა-მექანიზმების გამოყენებით“. აღნიშნულ ობიექტებზე ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი. ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციას აქვს შესაძლებლობა, კომპეტენციის ფარგლებში, ნებისმიერ დროს შეამოწმოს მეტროპოლიტენის უსაფრთხოება. მეტროპოლიტენის მოქმედი ყველა (როგორც მიწისზედა, ასევე მიწისქვეშა განლაგების) სადგურის (მათ შორის „რუსთაველი“ და „თვისუფლების მოედანი“) და ექსპლუატაციაში მყოფი ყველა გვირაბის მოვლა მიმდინარეობს კომპანიაში მოქმედი „მეტროპოლიტენების ხელოვნური ნაგებობებათა მიმდინარე მოვლა-შენახვის ინსტრუქციის“ მოთხოვნათა მიხედვით. მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ არსებობს არანაირი წინაპირობა, რომ რომელიმე სადგურს რაიმე ტიპის საფრთხე ემუქრება“.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ზემოხსენებულ არგუმენტებს არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე აბათილებს:

„სამხარაულის ექსპერტიზა ყალბი და შეთითხნილი დასკვნების გაცემითაა ცნობილი. საიდუმლო არც ისაა, რომ ისინი სახელმწიფო დაკვეთას ასრულებდნენ. გასარკვევია, დასკვნა საერთოდ რაზე გასცეს და თუ მართლა არსებობს დოკუმენტი, ამის გამო პასუხი მათაც მოეთხოვებათ. დანამდვილებით ვიცი, რომ მეტროსადგურებში აალებადი მასალაა გამოყენებული და ხელისუფლებას ამ საქმის გამოძიებისკენ მოვუწოდებთ. გაიხსენეთ „ყაზტრანსგაზის“ მილების სკანდალი — თავად ეს კომპანია ამბობდა, სახლებში შეყვანილი მილებით გაზის მიწოდება უსაფრთხოაო, მაგრამ აღმოჩნდა, პლასტმასის მილების გამოყენება მხოლოდ წყალგაყვანილობის შემთხვევაშია დასაშვები. არც ის მიკვირს, მერიაში ისეთი კაცი ეპოვათ, ვინც ამ შეთითხნილ დასკვნებსა და მიღება-ჩაბარების აქტებს ხელს მოაწერდა. თუკი ყველაფერი მოწმდება, მაშინ 2 თვეში ერთხელ, სხვადასხვა მეტროსადგურში, ხანძარი რატომ ჩნდება! გპირდებით, ამ საქმის გამო გიგი უგულავა პასუხისგებაში მიეცემა!“

ვერსიანიუსი

გიორგი მარგველაშვილს ბიძინა ივანიშვილის კრიტიკა ასუსტებს

„როდესაც ავტორიტეტული ადამიანი გაკრიტიკებს, წესით, ეს უნდა გასუსტებდეს“, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა პრაღაში, ჟურნალისტის იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ არის საუბარი, თითქოს მარგველაშვილსა და ივანიშვილის შორის დისტანციამ პრეზიდენტს შანსი მისცა, უფრო დამოუკიდებელ და ძლიერ ფიგურად ჩამოყალიბდეს. კითხვაზე, აღიქვამს თუ არა პრეზიდენტი ამას გაძლიერების შანსად, მარგველაშვილმა უპასუხა, რომ მისთვის რთულია ამაზე მსჯელობა, თუმცა იმ პოზიციას ეთანხმება, რომ ამომრჩეველთა დიდი ნაწილის მოტივაცია განპირობებული იყო ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტითა და მხარდაჭერით.

„ბიძინა ივანიშვილმა, სხვათა შორის, თქვა და შეასრულა თავისი პირობა, რომ წავიდოდა ხელისუფლებიდან. ეს თავისთავად მნიშვნელოვანი პრეცედენტია ქართული პოლიტიკური რეალობისთვის. თქვა, რომ იქნებოდა ადამიანი, რომელიც აქტიური მოქალაქე იქნება. ამ აქტიურ მოქალაქეს ჩემს მიმართ აქვს რაღაც კრიტიკა, ან შეხედულებები. რამდენად მაძლიერებს ეს, ძნელი სათქმელია“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

„საქართველოს ეკონომიკა პოლიტიკოსებმა დავლუპეთ!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რატომ აღარ უჩივის გიგი უგულავას, როგორ აპირებს 100 000 000-დარიანი ზარალის დაბრუნებას და რა მოიგო „ორ ვარსკვლავში“ მონაწილეობით ვახტანგ რჩეულიშვილმა

საკუთარ თავს პოლიტიკური პარტიის ლიდერად აღარ ხედავს და მხოლოდ ვითარების ანალიზითა თუ შეფასებებით შემოიფარგლება; გიგი უგულავას წინააღმდეგ ბრძოლასაც წყვეტს, რადგან მიიჩნევს, რომ ამით იმ ზარალს მაინც ვერ აინაზღაურებს, რაც ყოფილმა მერმა მის კომპანიას მიაყენა, ამიტომ ტაქტიკა შეცვალა და ახლა მერიის წინააღმდეგ იბრძვის. დიდი მიტინგები არ უყვარს, მაგრამ თბილისის ყოფილ მერს 50-კაციან საპროტესტო აქციებით პერიოდულად წერტილოვან დარტყმებს მიაყენებს... ამბობს, რომ რუსეთმა მეცნიერებასა და ეკონომიკაში ზესახელმწიფოს როლი უკვე დაკარგა და ტერიტორიის სიდიდეც ვეღარ უშველის; რაც შეეხება ევრაზიის კავშირს, მიაჩნია, რომ რუსეთს საბჭოთა კავშირის აღდგენა სურს, ნავთობითა და ბირთვული იარაღით მსოფლიოს აშანტაჟებს და ამიტომ საქართველოს ერთადერთი არჩევანი ევროპაა, მას კი, ვინც რუსეთში 37 მანეთად გადაფრენას მისტირის, სინამდვილეში, საკუთარი ახალგაზრდობა ენატრება და არა საბჭოთა კავშირი. აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა გამჭვირვალე არ არის, რადგან საზოგადოებამ არ იცის, რეალურად, ვინ იღებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს — ბიძინა ივანიშვილი თუ ირაკლი ღარიბაშვილი. აპირებს თუ არა პოლიტიკაში დაბრუნებას? როგორ აფასებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და რატომ მიიღო „ორ ვარსკვლავში“ მონაწილეობა? — „ვერსიის“ კითხვებს „ცენტრ პოინტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვახტანგ რჩეულიშვილი პასუხობს.

— ბატონო ვახტანგ, წელიწადნახევარია ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, რაც სრულიად საკმარისი დროა, რომ ეკონომიკური მდგომარეობა შევაფასოთ, რომელიც ისეთი სახარბიელო არაა, როგორი მოლოდინიც საზოგადოებას ჰქონდა. თქვენი აზრით, ჩიხში რატომ შევედით?

— ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ რთულია და ეს ძალიან კარგად ვიცი, რადგან უამრავ ადამიანთან მაქვს საქმე. ბინების ყიდვა-გაქირავების ბაზარი აქტიური აღარაა — სეგმენტი შეიცვალა, ხალხს დიდი ბინის ყიდვის შესაძლებლობა არ აქვს, ძირითადად, 1,5-იან ან 2-ოთახიან ბინას ეძებს. საერთოდ, მშენებლობა ისეთი ბიზნესია, რომელიც სხვა დარგებსაც უკავშირდება და ამიტომ ეკონომიკის ფუნდამენტად ითვლება. თუ სამშენებლო საქმე განვითარებულია, მაშინ ვაჭრობაც კარგად მუშაობს, რადგან, თუ ადამიანი ბინას ყიდულობს, რემონტსაც აკეთებს და ავეჯსაც იძენს. ისე, ვფიქრობ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ეკონომიკის ზედმეტი პოლიტიზება მოხდა ანუ პროექტები, რომლებიც წინა ხელისუფლებამ დაიწყო, სამწუხაროდ, შეჩერებულია.

— კონკრეტულად, რომელ პროექტებს გულისხმობთ?

— ვიდრე ამ კითხვაზე გიპასუხებთ, გეტყვით, რომ ძველი ხელისუფლების დამცველი ვერ ვიქნები, რადგან ჩემმა კომპანიამ ყველაზე მეტად მაშინ იზარალა და სხვადასხვა შეფასებით, 100 000 000 ლარამდე ზარალი მივიღეთ. პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო და ქვეყანაში ხელისუფლება არ შეცვლილიყო, „ცენტრ პოინტს“ ნამდვილად ვერ დავიბრუნებდით, ამიტომ, თუკი ჩემს ბიზნესში რამე სასიკეთო მოხდა, ყველაფერი ახალ ხელისუფლებას უკავშირდება, თუმცა, იმავდროულად, პროექტები, რომლებიც ძველი ხელისუფლების პირობებში დაიწყო, უნდა გაგრძელდეს და პოლიტიკური საკითხები ეკონომიკურ ჭრილში არ უნდა გადავიტანოთ.

მიმაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკა პოლიტიკოსებმა დავლუპეთ, როდესაც 2007 წლიდან, ფართომასშტაბიანი გამოსვლები დაიწყო. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი 2008 წლიდან დაფიქსირდა, მაგრამ ჩვენთან ერთი წლით ადრე დაიწყო, ამას მოჰყვა აგვისტოს ომი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ჩვენს კომპანიაში შენატანი, რაც 95%-ს აღემატებოდა, ორ წელიწადში, 26%-მდე დაეცა, ეს კი დაახლოებით 400%-იანი ვარდნა იყო. როგორ ფიქრობთ, პოლიტიკოსების შეცდომა არ იყო, როდესაც სააკაშვილის პარლამენტში არ შევიდნენ? დღევანდელ პარლამენტში ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა ისეთი ძლიერია, ქვეყანას ანგრევს, მაგრამ მაშინდელმა გაერთიანებულმა ოპოზიციამ ყველაფერ ამას მიტინგობანა ამჯობინა, რამაც ძალიან დიდი ზარალი მოგვაყენა.

ამ ხელისუფლების ის არ მომწონს, რომ პროექტს, რომელიც სააკაშვილის სახელს უკავშირდება, არ ახორციელებს. ეს გასაგები იქნება, თუ აქვს ინფორმაცია, რომ ეს თანხა ისევ და ისევ სააკაშვილთან მიდის, რადგან სულელი არავინაა, საკუთარი ეკონომიკური საქმიანობით ნაციონალური მოძრაობა დააფინანსოს. შესაძლოა, მიზეზი ესეც იყოს, რადგან საქართველოს ეკონომიკა ხელში თავდაცვის ყოფილი მინისტრის დაჯგუფებამ ჩაიგდო და სად გაიტანა ეს ფული, დღემდე უცნობია.

— დავით კეზერაშვილს გულისხმობთ?

— დავით კეზერაშვილსაც და გიგი უგულავასაც, რომლებიც ქართული ეკონომიკის დიდ ნაწილს დღესაც მართავენ.

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სტაგნაციის მაჩვენებელი პოლიტიკური გაურკვევლობაა; მაგალითად, ცოტა ხნის წინ საგადასახადოდან წერილი მომივიდა, ერთ-ერთ საგადასახადო ვალზე მედავებიან, დავალიანება ეხება სასტუმროს, რომელიც ამჟამად „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზეა ანუ რეალურად, ეს სასტუმრო 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დავკარგე და მილიონი ლარის ზარალი ვნახე, თუმცა ახლა მილიონს აქეთ მედავებიან — ბიუჯეტში გაქვს გადასახდელიო, ეს ხომ მარაზმია? ამიტომაც ვამბობ, რომ საქართველოში ბიზნესისთვის კარგი ხელისუფლება ჯერ არ მინახავს, წინა ხელისუფლება ხელებს გვიგრეხდა, ახალი ხელისუფლება კი დახმარებაში ნაკლებად აქტიურია.

ვფიქრობ, ეკონომიკური პრობლემების თავი და თავი სწორედ ესაა, რასაც რუსეთთან დაძაბული ურთიერთობაც ემატება და ყველაფერი, საბოლოოდ, ინვესტორებთან ურთიერთობას აფუჭებს. ამ ვითარებაში მხოლოდ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება გვიშველის, რადგან ამით ინვესტორებთან ურთიერთობა დალაგდება, თუმცა ეს ხელისუფლება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, საკუთარი თავის დაცვაც კი არ შეუძლია და მე როგორ დამიცავს? სამედიცინო სფეროში კარგი რეფორმა გაატარეს, მაგრამ ამის შესახებ არავინ იცის, სააკაშვილი აქამდე ქვეყანას აიკლებდა. ჩემმა სიდედრმა ხელი მოიტეხა, მაგრამ ერთი თეთრიც არ გადაგვიხდია, არავის ნათქვამს არ გიყვებით, იმას ვამბობ, რაც საკუთარი თვალით ვნახე, არაჩვეულებრივი რეფორმა გატარდა, მაგრამ ამაზე არც ხალხი საუბრობს და არც ხელისუფლება.

— თუკი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა ევროკავშირია, უმრავლესობა ისეთ კანონპროექტებს რატომ იღებს, რაც ევროპასთან გვაშორებს, მაგალითად, უმრავლესობის ინიცირებული ერთ-ერთი კანონპროექტით, იმპორტის დაბეგვრის რეჟიმი იცვლება. გასაგებია, რომ ადგილობრივ წარმოებას ხელი უნდა შევუწყოთ, მაგრამ იმპორტის შეზღუდვის ხარჯზე?

— ტრადიციულად, საკუთარი ბაზრის დაცვის მომხრე ვარ, მაგრამ ეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დადგენილ ჩარჩოებში უნდა იყოს. კანონპროექტი ჩვენი მეგობარი „მრეწველების“ ინიციატივაა — გოგი თოფაძე დიდი ხანია ამისთვის იბრძვის და თავის დროზე, მხარს ვუჭერდი. მაშინ ეს კანონპროექტი ვერ გავიტანეთ, მაგრამ დღეს ამ ინიციატივამ საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობას ხელი არ უნდა შეუშალოს. ადგილობრივი ბაზრის დაცვა კარგია, მაგრამ უკან, დინების საწინააღმდეგოდ ვერ ვივლით. გეთანხმებით, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, საერთაშორისო თამაშის ნორმები უნდა დავიცვათ, მაგრამ კონკურენციასა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლაში, მაქსიმალურ უპირატესობას ის მიიღებს, ვისაც საკუთარი პროდუქციის წარმოებისთვის საუკეთესო პირობები აქვს შექმნილი.

— სამართლიანობის აღდგენაც წინასაარჩევნო დაპირება გამოდგა — მართალია, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, „ცენტრ პოინტი“ დაიბრუნეთ, მაგრამ გიგი უგულავასთან დავა მაინც გრძელდება, რეალური შედეგი კი ჯერ არ ჩანს. გიგი უგულავასთან, დავით კეზერაშვილსა და ახალაიებთან პრეტენზიები, თავის მხრივ, ხელისუფლებასაც აქვს, მაგრამ ვერაფერს უმტკიცებს. როგორ გგონიათ, რატომ?

— წარმოიდგინეთ, რომ ღარიბაშვილმა ისევე დაიმორჩილოს სასამართლო, როგორც სააკაშვილის დროს ემორჩილებოდა ადეიშვილს, გამოვა, არაფერი შეცვლილა, ხომ? ამიტომაც სწორია, სასამართლოს რომ არ იმორჩილებენ და მოსამართლეს არ ეუბნებიან — პროკურატურის სასურველი გადაწყვეტილება მიიღეო. შესაბამისად, მოსამართლეებიც დაბნეულები არიან და საქმეებიც ჭიანურდება. მდგომარეობას „ცენტრ პოინტის“ მაგალითზე აგიხსნით, საიდან უნდა ამოვიღო 100 000 000 ლარი, რომელიც უგულავას მერობის დროს, „დექსუსმა“ მაზარალა? „დექსუსისგან“ ამ თანხას ვერ ამოვიღებ, რადგან 1 500 000 დოლარის კაპიტალი აქვს, დანარჩენი საიდან მოვიტანო? მართალია, „დექსუსს“ უშუალოდ უგულავა მართავდა, მაგრამ ინსტიტუციონალურად, ამაში თბილისის მერია უნდა დავადანაშაულოთ და არა პერსონალურად უგულავა. სად ვდიო უგულავას ქონებას ან ვინ დათვლის? გიგი უგულავა რომც დაიჭირონ, 100 000 000 ლარს როგორ დავიბრუნებ?

რაც შეეხება თქვენს კითხვას, ვინმეს მიერ აღდგენილი სამართლიანობის არ მჯერა, სამართლიანობისთვის მთელი ცხოვრება უნდა იბრძოლო.

— მახსოვს, გიგი უგულავას წინააღმდეგ ქუჩის აქციაც გამართეთ, ამიერიდან, აქციებსაც წყვეტთ?

— ეს გამაფრთხილებელი აქცია იყო, ჩვენს ოჯახში დიდ მიტინგებს ვერავინ იტანს, ამიტომ 50-მდე ადამიანი შევიკრიბეთ პლაკატებით. აქციებს არ შევწყვეტთ, სადაც დაგვჭირდება, იქ გავმართავთ, არ მოვასვენებთ მერიას, ვიდრე ამ უზარმაზარ ზარალს არ აგვინაზღაურებს.

მიტინგები არ მიყვარს და მიხარია, რომ პოლიტიკური ბრძოლა, ძირითადად, პარლამენტში მიმდინარეობს, პარლამენტის ჩხუბი კი არ მაღიზიანებს. მიტინგებზე, პოლიციასა და ხალხს შორის შეტაკებას არ სჯობს, ერთმანეთს დეპუტატებმა დასცხონ?

— პარლამენტში ჩხუბი მოგენატრათ?

— არა, ნოსტალგია არ მაქვს, მაგრამ უმჯობესია, პარლამენტში იჩხუბონ, ვიდრე გარეთ.

დასასრული მე-6 გვერდზე

ვერსიანიუსი

„დიდი შვიდეულის“ ქვეყნებმა რუსეთს დამატებითი სანქციები დაუწესეს

„დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ლიდერები რუსეთისთვის დამატებითი სანქციების სწრაფად დაწესების თაობაზე შეთანხმდნენ. ამის შესახებ ინფორმაციას თეთრი სახლის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

„უკრაინაში მომდევნო თვეს გასამართი საპრეზიდენტო არჩევნების წარმატებით, მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით ჩატარების უზრუნველყოფის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ ავიღეთ ვალდებულება, ვიმოქმედოთ დაუყოვნებლივ, რათა გავაძლიეროთ მიზანმიმართული სანქციები და ზომები, რომელიც რუსეთის ქმედებების საფასურს კიდევ უფრო გაზრდის“, — ნათქვამია „დიდი შვიდეულის“ განცხადებაში.

ამასთან, განცხადებაში აღნიშნულია, რომ კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს ლიდერები, ასევე ევროსაბჭოსა და ევროკომისიის პრეზიდენტები ღრმა შეშფოთებას გამოთქვამენ აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის მხარდამჭერი სეპარატისტების ქმედების გამო.

„ინტერპრესნიუსი“

ვინ და რა მეთოდით ასწავლის ახალი სასწავლო წლიდან მეთერთმეტეკლასელებს მეწარმეობას

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საშუალო განათლების სისტემაში მეწარმეობა სავალდებულო საგანი გახდება. სტრატეგიულ დოკუმენტს — შექმენი მომავალი, მთავრობის მეთაურის დავალებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამზადებს, რომლის პრეზენტაცია ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გაიმართება. თავდაპირველად, საპილოტე პროექტს, რომელიც 2014-2015 სასწავლო წლიდან, საქართველოს მასშტაბით, 100 სკოლაში დაიწყება, განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროები, ასევე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ერთობლივად განახორციელებენ.

პრემიერ-მინისტრის აპარატში აცხადებენ, რომ მეწარმეობა დღემდე არჩევითი იყო, თუმცა საგნის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მომავალი სასწავლო წლიდან, სავალდებულო გახდება და მე-11 კლასის მოსწავლეები, კვირაში ორი საათის განმავლობაში, ეკონომიკისა და ფინანსების საფუძვლებს დაეუფლებიან. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მოსწავლეები მეტ ცოდნას მიიღებენ და შესაბამისი უნარები გამოუმუშავდებათ, რათა მომავალში თავად გახდნენ მეწარმეები და ადამიანები დაასაქმონ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, ნატა ასათიანმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ მეწარმეობა დედაქალაქის დაახლოებით 11 სკოლაში არჩევითი საგანი იყო. მისივე თქმით, ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლებს თბილისის 166-ე, 116-ე და 89-ე სკოლების მე-11 კლასელები ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ. საგანს სამინისტროს რესურსცენტრში გადამზადებული პედაგოგები ასწავლიდნენ, მოსწავლეები კი ბიზნესის ადმინისტრირებას გამარტივებული მეთოდოლოგიით ეუფლებოდნენ. სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომლის ინფორმაციით, მეწარმეობა არჩევითი 11 კი არა, 44-მდე სკოლაში იყო, სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელმა კი „ვერსიას“ განუცხადა, რომ ეკონომიკის საფუძვლებს 80-მდე სკოლაში ეუფლებოდნენ.

მცდელობის მიუხედავად, „ვერსიამ“ ვერ დაადგინა, ბოლოს და ბოლოს, 11 სკოლაში ასწავლიდნენ ახალ საგანს, 44-სა თუ 80-ში, მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ საერთოდ არ არსებობს სტატისტიკა, რამდენმა მოსწავლემ გამოიჩინა თავი ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით; ასევე უცნობია, ახალი სასწავლო დისციპლინის, თუნდაც არჩევით შესწავლის შემთხვევაში, რამდენმა მოზარდმა გადაწყვიტა, უმაღლესი განათლება ეკონომიკური პროფილის სპეციალობებზე მიიღოს. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგების მცირე ნაწილი გადაამზადეს, სკოლებს საშუალება მისცეს, მოსწავლეებისა და მშობლების ერთობლივი მოსაზრებიდან გამომდინარე, მეწარმეობა, როგორც არასავალდებულო საგანი აერჩიათ, არავინ იცის, რა შედეგი მოგვცა ახალმა დისციპლინამ, რა ხარვეზები გამოიკვეთა ან რა ეფექტი მივიღეთ.

პრემიერ-მინისტრის იდეა, თავისთავად, სრულიად გასაგები და მისაღებია — ძალიან კარგია, თუკი მეწარმეობა, როგორც საგანი, ამიერიდან, სავალდებულო გახდება — ბევრი მოსწავლე შეძლებს, გადაწყვეტილება თვითონ მიიღოს და თუ საკუთარ თავში ფინანსების ან ბიზნესის მიმართულებით გარკვეულ უნარებსაც აღმოაჩენს, მშობლების დაჟინებული მოთხოვნით, სამედიცინო განათლებას კი არ მიიღებს, არამედ სწავლას ეკონომიკური პროფილით განაგრძობს, თუმცა საინტერესოა, ვინ და როგორ უნდა ასწავლოს ახალი სასწავლო წლიდან მეწარმეობა სკოლის მოსწავლეებს? რა დაუჯდება სახელმწიფო ბიუჯეტს პედაგოგების გადამზადება? რა ტიპის სახელმძღვანელოებით უნდა შეისწავლონ მე-11 კლასელებმა ახალი საგანი? „ვერსიას“ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი **კახა კოხრეიძე** ესაუბრება.

— ბატონო კახა, მეწარმეობა, როგორც საგანი, რა პრინციპით უნდა ასწავლონ სკოლებში?

— მეწარმეობა მოსწავლეების უნარების განვითარებას შეუწყობს, ხელს შესაბამისად, სტანდარტების გადამუშავების საფუძველზე, სახელმძღვანელოც მომზადდება და პედაგოგებიც გადამზადდებიან. საპილოტე პროექტი 2014-2015 სასწავლო წლიდან ამოქმედდება. შევიმუშავებთ პროექტის შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმებს, პარალელურად, ამ მიმართულებით გრძელვადიან სტრატეგიაზეც გავაგრძელებთ მუშაობას. წარმატებული საპოლოტე პროექტის მიხედვით, სტრატეგიაში გავითვალისწინებთ, რომ 2015-2016 წლის პროგრამაში, „მეწარმეობა“ სავალდებულო საგანი გახდეს, რომელსაც 100-ში კი არა, უკვე ყველა სკოლაში ასწავლიან. ამ დისციპლინის მიზანია, ახალგაზრდებში განავითაროს სამი მიმართულება — მიდგომების, ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება. მიდგომებში შედის საკუთარი თავის რწმენის, ინიციატივისა და რისკიანობის ამაღლება, გათვლილ რისკებზე წასვლის უნარი, კრიტიკული აზროვნების განვითარება, რათა ახალგაზრდები უფრო კრეატიულები იყვნენ და პრობლემების ეფექტურად გადაჭრა შეძლონ. მოზარდებმა ჯერ კიდევ მე-11 კლასში უნდა განსაზღვრონ კარიერული წინსვლის შესაძლებლობა და რეალურად გაეცნონ გლობალურ სამუშაო გარემოს, უნდა გაიგონ, რას ნიშნავს კონკურენცია საერთაშორისო დონეზე. რაც შეეხება ცოდნას, ეს არის ეკონომიკისა და ფინანსების საფუძვლების ზოგადი ფორმატით გააზრება, აქ ძირითადად სიმულაციებს, ასევე თამაშებს გამოვიყენებთ და არა ისეთ სერიოზულ მეთოდოლოგიას, რომლითაც უმაღლეს სასწავლებლებში ბიზნესის ადმინისტრირებას ასწავლიან. მოსწავლეები გაიგებენ, რა არის ბიზნესორგანიზაცია, მართვა და როგორ შეიძლება, ახალგაზრდამ გაიაზროს ბიზნესპროცესი. მესამე მიმართულება უნარების გაუმჯობესებაა, რათა კარგი კომუნიკაციის უნარი ჰქონდეთ, ისწავლონ, როგორ გააკეთონ კარგი პრეზენტაციები, ჩამოაყალიბონ კონკურენტული ხედვები და ყველაფერი ეს გრაფიკული გამოსახულებებით ასახონ.

— ეს საგანი რამდენიმე სკოლაში არჩევით აქამდეც ისწავლებოდა, თუ გაქვთ ინფორმაცია, რამდენ სკოლაში ასწავლიდნენ ან რა შედეგი გამოიღო მეწარმეობის შესწავლამ?

— აქამდე სწავლება ძველი სტანდარტით მიმდინარეობდა, სახელმძღვანელოც კი არაა ისეთი, რომ ამ საგნის მიმართ სისტემური მიდგომა იყოს. შარშან დაახლოებით 80-მდე სკოლამ აირჩია მეწარმეობა, მაგრამ როგორ ისწავლებოდა, ან რა შედეგი მოიტანა, სამწუხაროდ, არ ვიცი. საპილოტე პროექტის განხორციელების მიზანია, სტანდარტს გადავხედოთ, მასწავლებლები გადავამზადოთ, ახალი სახელმძღვანელო შევქმნათ და საპილოტე პროექტში ჩართვის შედეგად, დაკვირვება-მონიტორინგი განვახორციელოთ.

— მასწავლებლებს ვინ გადაამზადებს და ეს ყველაფერი სახელმწიფო ბიუჯეტს რა დაუჯდება?

— განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თავისი ინფრასტრუქტურა აქვს, მაგალითად, რესურსცენტრები, სადაც სკოლის პედაგოგებს გადაამზადებენ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი თანხის გამოყოფა საჭირო არ იქნება, რადგან ყველა უწყება, რომელიც ამ პროცესში ჩაერთვება, უკვე დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გასწევს იმ ხარჯს, რაც ამ პროექტს დასჭირდება.

— სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჩართვა ნიშნავს, რომ მოსწავლეებს, რომლებიც მეწარმეობის შესწავლის პროცესში თავს გამოიჩენენ, დასაქმებაში დაეხმარებით?

— მეწარმეობა სპეციალობა არ არის, მაგრამ, როდესაც ბიზნესის ადმინისტრირებაზე ვსაუბრობთ, თავს რამდენიმე მიმართულება იჩენს, მათ შორის ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი. ბუნებრივია, მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, ნებისმიერი სპეციალობა აირჩიონ, რა მიმართულებითაც მომავალში განაგრძობენ სწავლას და ამ მხრივ შეზღუდვა არ ექნებათ. მეწარმეობის შესწავლით მოზარდებს ის უნარები განუვითარდებათ, რაც უკვე ჩამოგითვალეთ, რათა მიღებული ცოდნა უფრო ეფექტურად გამოიყენონ და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესშიც ჩაერთონ. მეწარმეობის სწავლება იმას არ ნიშნავს, რომ ყველა, ვინც ამ საგანს გაივლის, მომავალში აუცილებლად მეწარმე უნდა გახდეს. ასეთი მოლოდინი არ გვაქვს, მაგრამ ცხადია, ინიციატივიან ადამიანებზეა დამოკიდებული ისეთი კომპანიების შექმნა, რომლებიც საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანები იქნებიან. ბიზნესი რისკიანი სფეროა, რომელიც მენეჯერების უნარებზეა დამოკიდებული, შესაბამისად, ეს საგანი სწორედ ამ უნარების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. სამწუხაროდ, უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა სამუშაოს ეძებს, არადა ბევრ მათგანს შეუძლია, თვითონ შექმნას სამუშაო ადგილი და მეწარმე გახდეს. სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჩართულობა იმაზეა ორიენტირებული, რომ მოსწავლეებისა და ბიზნესის კავშირი შედგეს, ჩავატარებთ მასტერკლასს, შევეცდებით, მოზარდებს მცირე და საშუალო კომპანიები ვაჩვენოთ, დავგეგმავთ ერთობლივ სასკოლო ოლიმპიადებს ბიზნესის მიმართულებით და სხვა ერთობლივ პროექტებსაც განვახორციელებთ. მოზარდებს საშუალება ექნებათ, რომ მხოლოდ თეორიული ცოდნა კი არ მიიღონ, არამედ, იმას, რასაც შეისწავლიან, პრაქტიკულადაც გაეცნონ. ამ მიზნით სხვადასხვა საწარმოში ვიზიტებს მოვაწყობთ, რათა საკუთარი თვალით ნახონ, როგორ იმართება ბიზნესი.

ექსკლუზივი

„საქართველოს ეკონომიკა პოლიტიკოსებმა დავღუპეთ!“

მე-5 გვერდიდან

— პოლიტიკაში დაბრუნებას არ აპირებთ, მით უმეტეს, ნიშა, რომელიც სოციალისტურ პარტიას ეჭირა, თავისუფალია?

— „ქართულმა ოცნებამ“ სცადა, ეს ნიშა დაეჭირა, მაგრამ ვატყობ, უჭირს. ახლა, როგორც შოუბიზნესის წარმომადგენელს, უფრო კულტურის სფერო მაინტერესებს, ისე კი პოლიტიკაში დაბრუნებას არ გამოვრიცხავ, ოღონდ არა — პარტიულობის დონეზე. მართალია, ნიშა ცარიელია, მაგრამ საკუთარ თავს უფრო სხვაგან ვხედავ, მაგალითად, თუ საქართველოში სენატორობის ინსტიტუტი ანუ ზედა პალატა დაფუძნდება, როგორც ერთ-ერთი სენატორი, კენჭს დიდი სიამოვნებით ვიყრი, თან ჭაღარაც მომიხდება და ვიქნები ჭაღარა სენატორი, სიგარით ხელში, შოუს კი იქაც დავდგამ ხოლმე. პარტიის ლიდერი ახალგაზრდა, ენერგიული და შემტევი უნდა იყოს, მაქსიმუმ, ჩემს ასაკამდე. თუ გამოჩნდება ლიდერი, რომელიც ამ ნიშას დაიკავებს, დიდი სიამოვნებით დავეხმარები რჩევებით, რადგან თავს პარტიის ლიდერად ვერ ვხედავ, საკუთარი თავი ერთ-ერთ წარმატებულ ექსპერტად მიმაჩნია.

— ბატონო ვახტანგ, „ორ ვარსკვლავში“ მონაწილეობით, კარგი პიარნაბიჯი გადადგით, ამ პროექტში თავიდანვე პიარის გამო მიიღეთ მონაწილეობა?

— კარგი პიარსვლა აღმოჩნდა, თორემ თავიდან ასე არ მიფიქრია. შოუში სჭირდებოდათ პოლიტიკოსი, მაგრამ ვერავინ მოძებნეს და, როდესაც დამირეკეს, ვთქვი, რომ რატომაც არა. ამდენი წლის განმავლობაში, „ცენტრ პოინტთან“ დაკავშირებული ამბების გამო, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ყველაფერში დამნაშავეები ვიყავით და არსად ვჩნდებოდით. ახლა გაირკვა, რომ ჩვენ ვართ დაზარალებულები, ის, ვინც თავს დაზარალებულად მიიჩნევს, 17 000 000 ლარის ვალი აქვს ჩვენს მიმართ და სახელმწიფომაც 100 000 000 მომპარა.

მართალია, უგულავას წამოწყებულმა შავმა პიარმა სახელი გაგვიტეხა, მაგრამ „ორი ვარსკვლავი“ გადასარევი პიარსვლა გამოდგა. ჩემთვის ყველაზე ლამაზი პერიოდი იყო, 50 წლის იუბილე ვერ გადავიხადე, რადგან სააკაშვილი შემოვარდა გიჟივით და

პოლიტიკიდან წავედი, 60 წლის იუბილეც ვერ აღვნიშნე „ცენტრ პოინტთან“ დაკავშირებული პრობლემების გამო, ახლა ჩათვალეთ, რომ ამ პროექტში მონაწილეობით, ორთვიანი იუბილე გამიმართეს.

ჩემი რეპერტუარი შევასრულე, ვიხალისე და წამოვედი, ახლა კი მიშა მესხს ვგულშემატკივრობ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“.

— თეონა კონტრიძეს ბინას მართლა აჩუქებთ?

— არ ვაპირებ... მაღალი ქულები რომ დაეწერა ჩემთვის, ვიფიქრებდი. მიმაჩნია, რომ მეც არანაკლები პიარი გავუკეთე ამ შოუს, მაგრამ ჩემთვისაც კარგი იყო, რადგან ბევრს გავახსენდი და მგულშემატკივრობდა.

„შეგვეშვით, ვერ გაიგეთ, რომ დამოუკიდებლობა გვინდა?!“

აფხაზი ახალგაზრდა „ვერსიის“ კითხვებმა გააღიზიანა

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

რამდენიმე კვირაა, ინტერნეტში ფოტოკოლაჟი ვრცელდება, რომელზეც აფხაზი ახალგაზრდები ქართულ-აფხაზური დროშებით არიან აღბეჭდილნი... „რას დაემსგავსება აფხაზეთი, თუ დაიწყება გალის მცხოვრებთა აფხაზურ საზოგადოებაში ინტეგრაცია?“ — ასეთი წარწერა ახლავს ზემოხსენებულ ფოტოკოლაჟს ერთ-ერთ აფხაზურ ბლოგზე... „ვერსია“ ერთ-ერთი სოციალური ქსელის საშუალებით, აფხაზ გრიგორ გოჩუას დაუკავშირდა.

— გრიგორ, გამარჯობა, შეგიძლიათ, ქართულად დამელაპარაკოთ?

— არა, ქართული არ ვიცი...

— კარგი, რუსულად ვისაუბროთ... მინდა, ცნობილ ფოტოებზე დაგელაპარაკოთ...

— ფოტოებზე ორ ცეცხლსშუა მყოფი ადამიანები — მეგრელები არიან აღბეჭდილნი... მას შემდეგ, რაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა დაკარგეს, მეგრელები ქართველ ერს მიეკუთვნებიან, მაგრამ გეოგრაფიულად, აფხაზთა მიწაზე, კერძოდ, გალის რაიონში ცხოვრობენ.

— გრიგორ, არ მგონია, ისტორიაში ერკვეოდეთ...

— მართალი ხართ, იმ ვერსიის, რაზეც ახლა გინდათ მელაპარაკოთ, ანუ თქვენი ისტორიის არაფერი გამეგება...

— ისტორია ჩემი და შენი კი არა, ერთია, ნამდვილი და ფაქტებით განმტკიცებული...

— ანი, ალაჰის გწამთ?

— არა, მართლმადიდებელი ვარ...

— ხედავთ, არ გჯერათ ალაჰის მაშინ, როცა მის არსებობას მრავალი ხელნაწერი ადასტურებს. ისტორია ადვილად შეიძლება დაამახინჯონ. ის, რასაც თავს ათწლეულების განმავლობაში გახვევდნენ, სრული სიცრუეა. რაც გინდათ, ის წერეთ, მაგრამ აფხაზეთი აფხაზების მიწაა და ამას თავად ტერიტორიის სახელწოდებაც ადასტურებს. მორჩა, ინტერვიუ დასრულებულია, ვხვდები, საითაც მიგყავს საუბარი...

— იმ ადამიანებზე რაღას იტყვით, თავიანთი სახლიდან რომ აყარეს?

— დევნილები თავიანთ ისტორიულ სამშობლოში იმყოფებიან. სწორედ იქ დაბრუნდნენ, საიდანაც აფხაზეთში მოვიდნენ. ჩვენი ხელახლა დაპყრობა არ გამოგივათ. ეს სტუდენტები კი, ფოტოებზე ქართული დროშით რომ დგანან, თბილისში გეიაღლუმზე უნდა გაუშვა! საზიზღარია ქვეყანა, სადაც იმართება მსგავსი სიბინძურე და საზიზღარია ერი, რომელიც სახელმწიფოს ამის უფლებას აძლევს. მომავლისთვის ახალ კანონს მიიღებენ და იმათ, ვინც გაბედავს და ხელახლა ჩაშლის აღლუმს, ციხეში ჩასვამენ და გეებად აქცევენ... ასეთია ქართული ლოგიკა!

— ვინ გითხრათ, რომ ეს ქართული ლოგიკაა? თბილისში გეპატიჟებით — ჩამოდით, და საკუთარი თვალით ნახეთ, აქ რა ხდება...

— იმის თქმა გიდნა, რომ აფხაზებს პატივს სცემთ? მაშინ შეგვეშვით, ვერ გაიგეთ, რომ დამოუკიდებლობა გვინდა?

— სოჭის ოლიმპიადაზე, მოთხილამურე მარიკა პერტახიას, დაბადების ადგილად — რუსეთი-გალი ჰქონდა მითითებული და ესაა თქვენი დამოუკიდებლობა?

— სამოქალაქო პასპორტებში აფხაზეთის, საზღვარგარეთის პასპორტებში კი, რუსეთის მოქალაქე გვიწერია. დავიჯერო, ორმაგ მოქალაქეობაზე არაფერი გსმენიათ? პერტახიას შემთხვევაში რა არ მოგეწონა? ეს არის დოკუმენტი, რომელიც ქვეყნის შიგნით გამოიყენება და იმისთვის რომ უფრო მარტივი იყოს გადაადგილება, აფხაზეთის ქალაქებს ხშირად ისე მოიხსენიებენ, როგორც რუსეთისას. რა პრობლემაა? — მთავარია, რომ აღნიშნული ანუ გალის რაიონი აფხაზეთის რესპუბლიკაა. ისე, მარიკა მეგრელია, რა პრეტენზია გაქვს აფხაზებთან, ჩვენ ასეთ რამეებს არ ვწერთ...

გრიგორმა ინტერვიუს გაგრძელება აღარ ისურვა. აფხაზ ახალგაზრდასთან საუბრის შემდეგ, იმის გასარკვევად, თუ რატომ აქვთ აფხაზებს ზემოხსენებული პრეტენზები, „ვერსია“ ისტორიკოს სიმონ მასხარაშვილის დაუკავშირდა:

„საინფორმაციო ომში ისტორიული მეცნიერება უპირველესი იარაღია. კარგად მახსოვს, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, აფხაზეთში, ანტიქართული მოძრაობის სულისჩამდგმელი მიხაილ სუსლოვის აქტიურობა. სამწუხაროდ, ქართველმა ფსევდოპატრიოტმა ისტორიკოსებმა, თავიანთი ნაშრომებით, ცეცხლზე ნავთი დაასხეს და კრემლს ქართულ-აფხაზური შუღლის გაღვივებაში ხელი შეუწყვეს. ამის გამო ფსევდოპროფესორებს პირველი კურსიდან ვებრძოდი, მაგრამ უკვე გვიან იყო — სტუდენტი 1988 წელს გავხდი, ერთი წლის შემდეგ კი, 1989 წელს კონფლიქტი გამწვავდა. რუსები აფხაზებს ანტიქართულ ზღაპრებს ასწავლიდნენ და შედეგიც სახეზეა. ნამდვილი ისტორია, რომელიც დაადასტურებს, რომ მხოლოდ აფხაზები კი არა, ჩერქეზები, ინგუშები, ჩეჩნები და დაღესტნელების დიდი ნაწილიც ჩვენი განუყრელი გენეტიკური ძმები და თანამოქალაქენი არიან, უნდა დაიწეროს“.

სკანდალური გათავისუფლება

„მინისტრი რომ მოსწავლეებს არ უსმენს, ეს სკოლის ავტონომიის პრობლემა არ არის?!“

53-ე სკოლის გათავისუფლებული დირექტორი საკუთარი სიმართლის დამტკიცებას სასამართლოში ცდილობს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

თბილისის 53-ე სკოლიდან დირექტორის, მარიამ რამინაშვილის გათავისუფლებას დიდი ხმაური მოჰყვა. განათლების სამინისტროს აუდიტის სამსახურის დასკვნის საფუძველზე (მრავალრიცხოვანი დარღვევები ფინანსური და შესყიდვების კუთხით) მიღებულმა გადაწყვეტილებამ, პედაგოგთა და მოსწავლეთა უმრავლესობის ღია პროტესტი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ჰყავს, მარიამ რამინაშვილი ბრძოლას განაგრძობს და საკუთარ სიმართლეს სასამართლოში ეძებს. „ვერსია“ მარიამ რამინაშვილს ესაუბრა.

— ქალბატონო მარიამ, რა ხდება თქვენს საქმესთან დაკავშირებით და რა გეგმები გაქვთ?

— სარჩელი სასამართლოში უკვე შევიტანე, თუმცა სასამართლოს თავისი პროცედურები აქვს, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს. შესაბამისად, ჩემი გეგმების პირველი ნაწილი სასამართლო განხილვისთვის მოსამზადებელი აქტივობაა. სხვა მხრივ, საქმიანობას ვაგრძელებ — რამდენიმე საერთაშორისო-საგანმანათლებლო პროექტში, როგორც განათლების ექსპერტი და კონსულტანტი ვმონაწილეობ.

— დირექტორობიდან გათავისუფლების რეალური მოტივი მაინც რა იყო?

— აბა, რა გითხრათ? დღემდე გაუგებარია, რატომ გამოიყენა მინისტრმა თავისი დისკრეციული უფლება, განათლების სამინისტროს შიდააუდიტის მიერ ჩვენს სკოლაზე დაწერილი დასკვნის საფუძველზე გავეთავისუფლებინე. ამასთან, შეხვედრაზე განაცხადა, რომ ამ დასკვნაში მოცემულ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობას არ იღებს.

— თუ ასეა, აბა, თქვენს გათავისუფლებაზე პასუხისმგებლობა როგორღა აიღო?

— ამაზე პასუხი არ მაქვს...

— შიდააუდიტის მიერ დაფიქსირებული ხარვეზებით, რა ტიპის გადაწყვეტილებას ექვემდებარებოდით?

— ობიექტურად რომ გითხრათ, იქ მოცემული ნუსხა მითითების მეტს არაფერს ექვემდებარება, რადგან თუ აღნიშნულ დასკვნას სპეციალისტს წააკითხებთ, რეალურად გამოსასწორებელი არაფერია, საერთოდ არაფერი...

აღნიშნული პრობლემები ცოცხალი პროცესის თანმდევია და თითოეული ხარვეზი აღმოფხვრილია. საერთოდ, ეს ვრცელი თემაა და სამი ტიპის სეგმენტზეა ყურადღება გამახვილებული, რომელიც ისე შეგიძლიათ წარმოადგინოთ, როგორც მოისურვებთ.

— როგორ ფიქრობთ, პედაგოგებისა და მოსწავლეთა უმრავლესობამ მხარი რატომ დაგიჭირათ?

— ესეც ვრცელი ამბავია... მოკლედ, 53-ე სკოლისთვის, ბოლო 10 წელიწადში, მე-6 დირექტორი ვიყავი, ამიტომ მათ არჩევანის გაკეთება შედარების საფუძველზე შეეძლოთ (მოგეხსენებათ, ეს მეთოდი სოციოლოგიაშიც საყოველთაოდ აღიარებულია) — სასწავლო პროცესი აეწყო, კომუნიკაცია შედგა და გარემო მოტივირებული გახდა. ეს გახლავთ ის სამი მნიშვნელოვანი მიმართულება, რაც ხელს წარმატებისკენ სვლას და საერთო მიზნის გამოკვეთას უწყობს. ყოველივე ეს მოსწავლეზე, მშობელსა და მასწავლებელზე პოზიტიურ გავლენას ახდენს და ამის დაკარგვა ყოველთვის ძნელია.

— თქვენთან დაკავშირებული ამბები, სკოლების ავტონომიურობის პრობლემას ხომ არ უკავშირდება?

— უდავოდ, ასეა. ის შენიშვნები, რომელიც დასკვნაშია, უფრო ვრცელია, ვიდრე ერთი სკოლის შემთხვევა, რადგან არის მექანიზმები, მათ შორის საკანონმდებლოც, რომელიც ნამდვილად ხელს უშლის სკოლის ავტონომიას, რომ აღარაფერი ვთქვა სკოლების დეცენტრალიზაციის პრობლემაზე. მინისტრი რომ მოსწავლეებს არ უსმენს, ეს სკოლის ავტონომიის პრობლემა არ არის?!

— რას ნიშნავს თქვენთვის 53-ე სკოლის დირექტორობა და რატომ მიიჩნევთ საჭიროდ ბრძოლას საკუთარი სიმართლის დასაცავად, მათ შორის, სასამართლოში?

— სასამართლოში სიმართლის დაცვა ჩემი, როგორც მოქალაქის გადაწყვეტილებაა. ეს სიმართლე უნდა დაინახონ ჩემმა მოსწავლეებმა, რომელთათვისაც მე, როგორც მოქალაქე, მაგალითი ვარ. რაც შეეხება იმას, რას ნიშნავს 53-ე სკოლის დირექტორობა, ჩემს საქმეს კარგად ვაკეთებ და პროფესიონალისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იქ იყოს, სადაც საჭიროა.

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მამუკა რ. და 1970 წელს დაბადებული მარინე კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მამუკა რ-მ და მარინე კ-მ ნარკოტიკები თურქეთის რესპუბლიკაში შეიძინეს და საქართველოში უკანონოდ შემოიტანეს. სამართალდამცველებმა მარინე კ-ს პირადი ჩხრეკისას 9,5279 გრ ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 4,859229 გრ ჰეროინს შეიცავს და 2 აბი, რომელიც 0,8 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება მეტადონს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, მამუკ რ-ს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

ბრალდებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

„ვერსიანიუსი“

„ჩემთან შეხვედრის პრობლემა არც ერთ მოსახლეს არ აქვს, პირიქით, ინფორმაციას ყოველთვის პირადად მათგან ვიღებ“

რა მასშტაბური პროექტები იგეგმება დუშეთის რაიონში და როგორ აპირებს ირაკლი ტრიპოლსკი საზღვრისპირა სოფლების დაცლის პრობლემასთან გამკლავებას?

ეროსუდან შელია
557-100-768

დუშეთის რაიონში რამდენიმე მასშტაბური პროექტი უკვე განხორციელდა — ადგილობრივი მოსახლეობისთვის სასმელი წყლის პრობლემა პრაქტიკულად სრულად მოგვარდა, სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად დუშეთის გამგეობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა და ნაპირსამაგრი სამუშაოებიც დასასრულს უახლოვდება. რაიონში უკვე განხორციელებულ და მომავალში დაგეგმილ პროექტებზე, „ვერსიას“ დუშეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ტრიპოლსკი ესაუბრა.

— დუშეთის რაიონში, განსაკუთრებით გაზაფხულზე, მდინარეებისა და ხევების ადიდების პრობლემა მუდმივად იდგა. სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გადაუღებელი წვიმების შედეგად, დუშეთის მოსახლეობას უზარმაზარი ზარალი მიადგა, განსაკუთრებით დოლასქედისა და რამდენიმე მიმდებარე სოფლის მოსახლეობა დაზარალდა. მოსახლეობასთან შესახვედრად მეორე დღესვე ადგილზე ჩავედი... როგორც ადგილობრივებმა მითხრეს, დუშეთის გამგეობას მთელი ზამთარი ნაპირების გამაგრებასა და დამბების შეკეთებაზე რომ არ ეზრუნა, ზარალი ბევრად მასშტაბური იქნებოდა. ისეთი ნიაღვარი მოდიოდა, სტიქიას მთელი სოფლის წალეკვა შეეძლო. ნაპირსამაგრი სამუშაოები უკანა ფშავშიც თითქმის ბოლო სოფლამდე განხორციელდა. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ დასრულებული პროექტი უახლოეს მომავალში უნდა წარმოადგინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმებს დავაკისრებთ. ზოგადად, ასეთი მიდგომა მაქვს — თუ დაკისრებულ ვალდებულებებს კომპანია პირნათლად არ შეასრულებს, არავის დავინდობთ და კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს დაუყოვნებლივ მივმართავთ.

— მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქი სასმელი წყლით ბულაჩაურიდან მარაგდება, დუშეთის რაიონს სასმელი წყლის პრობლემა წლების განმავლობაში აწუხებდა. დღეს ეს საკითხი გადაჭრილია?

— სასმელი წყლის პრობლემა თითქმის ყველა სოფელში აღმოიფხვრა, მათ შორის, ფასანაურშიც — ავზი სრულად განახლდა, სასმელი წყლის მილები შვიდ კილომეტრზე გამოვიყვანეთ, თუმცა, როგორც მეუბნებიან, ამ მიმართულებით გარკვეული პრობლემები შეიქმნა, ახლის ნაცვლად, მოსახლეობას სასმელ წყალს ძველი ავზიდან აწვდიან, რომელიც უამინდობის გამო საკმაოდ ამღვრეული იყო.

— ვინ არის პასუხისმგებელი და ვინ აწვდის მოსახლეობას ამღვრეულ სასმელ წყალს მაშინ, როცა სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელებულია და აღნიშნული პრობლემა სრულად უნდა მოგვარებულიყო?

— ეს საკითხი აუცილებლად გაირკვევა, პასუხისმგებელი კი, ის პირია, რომელიც უშუალოდ, ფასანაურის წყლით მომარაგებას ემსახურება. ამ ეტაპზე, ვერ დავიწყებ მტკიცებას, რომ ეს საბოტაჟია და მოსახლეობის გასაღიზიანებლად სპეციალურად კეთდება, მაგრამ უახლოეს მომავალში საკითხს გამოვიკვლევთ და სიმართლეც დადგინდება. რაც შეეხება სხვა პროექტებს. დუშეთში საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას ხევის ადიდებაც ქმნიდა, თუმცა ამ მიმართულებითაც სერიოზული სამუშაოები განხორციელდა და ადგილობრივ მოსახლეობას სტიქიის უკვე აღარ ეშინია. გამგეობამ პრობლემის მოსაგვარებლად მართლაც 24-საათიან რეჟიმში იმუშავა, ხევზე ორი ხიდიც აღდგა... როგორც მითხრეს, მოსახლეობა საცალფეხო ხიდის აშენებასაც ითხოვს და უახლოეს მომავალში ეს მოთხოვნაც დაკმაყოფილდება.

— ადგილობრივი მოსახლეობა გზების რეაბილიტაციასაც ითხოვს, დუშეთის გამგეობაში კი აცხადებენ, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ მასშტაბური პროექტებია დაგეგმილი. იქნებ დაასახელოთ კონკრეტული პროექტები.

— პირაქეთა და პირიქითა ხევსურეთის, კერძოდ, არხოტთან დამაკავშირებელი 25-კილომეტრიანი გზის მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება, რომელიც სოფელ როშკას და პირიქითა ხევსურეთის სოფელ ამღას დააკავშირებს. როგორც ვიცი, გზის მშენებლობის შემდეგ, არხოტში დაბრუნების სურვილი 35-მდე ოჯახმა უკვე გამოთქვა. ამ პროექტის ფარგლებში სკოლის, კულტურის სახლის მშენებლობა და ინფრასტრუქტურის მოწყობაც იგეგმება. მოგეხსენებათ, არხოტამდე სამანქანო გზა არასოდეს ყოფილა — პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთს ერთმანეთთან საცხენოსნო ბილიკი აკავშირებს. საპროექტო თანხაც უკვე გამოყოფილია, თუმცა ამ ეტაპზე, უამინდობა გვაფერხებს. მოგეხსენებათ, საკმაოდ მაღალმთიან ტერიტორიაზეა საუბარი, სადაც თოვლი ჯერ არ დამდნარა. იმედი გვაქვს, მომავალი კვირიდან ეს პრობლემაც აღარ გვექნება და დამპროექტებლები თითოეული მეტრის შესწავლას შეძლებენ. რაც მთავარია, როშკა-არხოტის პროექტის განხორციელება კახეთიდან ჟინვალამდე გზის გავლისთვის საჭირო დროს 50 წუთით შეამცირებს. ამ პროექტს სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს, რადგან სამხედრო გზაც სწორედ აქ გადის. უახლოეს მომავალში ჩინთი-ბარისახოს გზის რეაბილიტაციაც იგეგმება, რომლის დასრულების შემდეგ შატილსა და ხევსურეთში ტურისტთა რაოდენობა გასამმაგდება. სამწუხაროდ, უგზოობის გამო ტურისტებს გადაადგილების პრობლემა ექმნებათ, რადგან თბილისიდან ხევსურეთამდე მგზავრობას დაახლოებით 5-6 საათი სჭირდება. პარალელურად, ახატანი-ბიწმენდის გზის რეაბილიტაციასაც ვგეგმავთ. ახატანელი ბავშვები ჭოპორტისა და ჟინვალის სკოლებში დადიან. ამის გამო, სოფელი ფაქტობრივად, იცლება, ამიტომ ახატანში სკოლის აღდგენა გადავწყვიტეთ, რათა ბავშვებს განათლების მისაღებად რამდენიმე კილომეტრის გავლა არ უწევდეთ.

— რაც შეეხება სტიქიით დაზარალებულებსა და ლტოლვილების პრობლემებს, მათ დასახმარებლად გამგეობის ბიუჯეტში ფინანსები გათვალისწინებულია?

— რა თქმა უნდა! დუშეთის რაიონში სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად, კერძოდ, შენობების სახურავების აღსადგენად ინფრასტრუქტურის სამინისტრომ სამი მილიონი ლარი გამოყო. ამ მიმართულებით გამგეობამ საკმაოდ მობილურად იმუშავა — მაგალითად, ზემო მლეთაში ლტოლვილებისთვის, მთავრობასთან შეთანხმებით შესაბამისი თანხა უკვე გამოყოფილია. ამ ეტაპზე, მოსახლეობამ მიმდებარე ტერიტორიაზე, ათი ათასი ლარის ფარგლებში, სახლები თავად უნდა მოიძიონ, რომელსაც გამგეობა დააფინანსებს. ამ მიმართულებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იგეგმება. ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ათსართულიანი კორპუსის მშენებლობის დასასრულებლად თანხა გამოყო, რომელიც ანალოგიურ პრობლემას ყველა ადამიანისთვის გადაჭრის. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკმა სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის განსავითარებლად 30 მილიონი გამოყო. აქედან დაახლოებით, 8-10 მილიონი დუშეთის რაიონის განივითარებისთვის დაიხარჯება. კერძოდ, ქალაქში მისასვლელი გზების, სახლებისა და ძველი დუშეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება იგეგმება. ჩვენი სურვილია ძველ დუშეთში ილია ჭავჭავაძის სასამართლოს შენობა აღდგეს, რომელიც დღეს კერძო საკუთრებაა. ამ მიმართულებით ერთ წელზე მეტია მესაკუთრესთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, დუშეთის გამგეობა მზადაა, შესაბამისი თანხაც გადაიხადოს, თუმცა სამწუხაროდ, მფლობელები საკმაოდ დიდ ციფრს ასახელებენ. იმედი მაქვს, მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება!

— ცნობილია, რომ დუშეთის გამგეობა კერძო საკუთრებაში არსებული სპორტული კომპლექსის სახელმწიფო ბალანსზე დაბრუნებას ცდილობს.

— დიახ, ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კერძო საკუთრებაში არსებული სპორტული კომპლექსის შესაძენად თანხა გამოგვიყო. საკმაოდ ლამაზი და კარგად გაკეთებული სპორტკომპლექსია, რომელსაც საჭიდაო დარბაზი, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აქვს. ამ შემთხვევაში მფლობელებთან მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, რადგან გაყიდვის სურვილი მათაც აქვთ. ახალგაზრდებისთვის კიდევ რამდენიმე პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ... გვინდა, რაიონში თითქმის ყველა ბიბლიოთეკა აღვადგინოთ. უახლესი წიგნების შეგროვება უკვე დავიწყეთ, ბიუჯეტში შესაბამისი თანხაც გამოყოფილია და ახლა დახარისხების პროცესი მიმდინარეობს. პარალელურად, ინტერნეტის დაქსელვის სამუშაოები ხორციელდება. რამდენიმე ფიჭურმა კომპანიამ ქალაქ დუშეთსა და სოფლებშიც ინტერნეტის პრობლემის მოგვარების ვალდებულება აიღო. ჩვენი მიზანია, დუშელი ახალგაზრდები დედაქალაქში სწავლის გაგრძელების შემდეგ, კონკურენტუნარიანები გახდნენ. სხვათა შორის, სტუდენტებისთვის დუშეთი-თბილისის მიმართულებით უფასო ავტობუსებიც დავნიშნეთ, უფასო ტრანსპორტი ხორხი-გუდამაყრის მიმართულებითაც დაინიშნა კვირაში ერთხელ, რათა მოსახლეობამ პროდუქტის რეალიზება შეძლოს.

— როგორც რაიონის მაჟორიტარი, მოსახლეობას ხშირად ხვდებით?

— რა თქმა უნდა, ჩემთან შეხვედრის პრობლემა არც ერთ მოსახლეს არ აქვს. უამრავ ინფორმაციას პირადად მათგან ვიღებ, თანაც ყოველთვის იქ ვარ, სადაც რამე კონკრეტული პრობლემა ჩნდება. დამეწყრილ რეგიონებშიც მუდმივად ჩავდივარ.

ტირანი ჩვენშია — ჩვენ, ყველას გვაქვს შანსი, ვიყოთ მაკბეტი!

სოფო ძიძიგური

16 აპრილს მინის თეატრმა და რეჟისორმა რეზო შატაკიშვილმა კიდევ ერთი სპექტაკლი წარუდგინეს მაყურებელს — ეჟენ იონესკოს „მაკბეტტ“. პრემიერა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სცენაზე შედგა. საინტერესო სცენოგრაფია, რომელიც პირველივე წუთებშივე იპყრობს ჩვენს ყურადღებას, თემატურად და პრაგმატულადაა შეთავსებული მოქმედებასთან, ჰაერში ჯაჭვებით დაკიდული წიგნები, სცენის სიღრმეში კი ერთიმეორეზე ასხმული გაზეთები, ჩამოკიდებული კარი, მწვანე ბუშტები, სცენის ცენტრში განლაგებული პისუარები, კიბე, ღამის ქოთნები... სცენოგრაფიაში აქტიურად გამოყენებული რუსუდან ფეტვიაშვილის ბავშვობისდროინდელი ნამუშევრები — სავსე მითიური, გამოგონილი არსებებით. ეს ხაზი „ლაითად“ მსახიობების ჩაცმულობასაც გასდევს...

რეჟისორ რეზო შატაკიშვილის სკანდალური პრემიერა

სპექტაკლი იწყება ღამის ქოთნებზე შემომსხდარი, ბალერინის „პაჩკებში“ გამოწყობილი ბებერი ალქაჯებით, წელსზემოთ შიშველი, ზურგით მდგომი მამაკაცებით, სწორედ მათ ზურგზე დაწერენ ალქაჯები სისხლით სპექტაკლის დასახელებას ოდნავ მოგვიანებით, მანამდე კი კუდიანების შექსპირული დიალოგი იმთავითვე გზარავს და მიგანიშნებს, რომ აქ მშვიდობა არ დაისადგურებს, ბოროტების აღვირახსნილობა სულ უფრო და უფრო რთულ სტადიაში გადავა. იწყებენ რიტუალს: სცენაზე შემოდის შექსპირისეული მაკბეტი (ლაშა მელაშვილი), მაგრამ სატელეფონო ზარი მალევე ამცნობს ალქაჯებს, რომ უნდა ითამაშონ იონესკოს Makbett და არა შექსპირის, რომელსაც ისინი თამაშობენ. ამ სვლით რეჟისორი გვამცნობს, რომ მოქმედება თეატრში ხდება — „თეატრი თეატრში“. შექსპირის მაკბეტი მალე სცენაზე ზურგით მდგომი მამაკაცების რიგში ჩადგება, რათა კვლავ შემოტრიალდეს — უკვე იონესკოს მაკბეტტთან ერთად, რათა მათ მკერდზეც დაიწეროს — ტტ...

პროლოგს მოსდევს შურისძიებით, ბოღმით ანთებული კავდორისა და გლამისის სცენა (ნიკა ჩხაიძე და გიორგი იარაჯული), მათ აღარ სურთ დანკანის მეფობა, ჩვენ მოწმე ვხდებით, როგორ ისახება შეთქმულება, როგორ იფუთება მაღალი იდეალებით — დემოკრატიით, თავისუფლებით მათი პირადი ინტერესები („უფლება, უფრო და უფრო მეტი ფული ვაკეთოთ“), ვხედავთ, როგორ ისახება შეთქმულება... საპირფარეშოში, პისუარებთან... პისუარები, ღამის ქოთნები — ეს რეჟისორული გადაწყვეტა მუდმივად გვახსენებს ამ სამყაროსა და ამ ქვეყნის მდგომარეობას, თვით ამ პროცესების (დამხობა, გადატრიალება) ფეკალურ წარმომავლობას. სპექტაკლში აირწინაღითა და ესპანური „ფრეზით“ შემოყვანილი მუნჯი მასხარა (პიესაში ის არ გვხვდება) იმის სიმბოლოა, თუ როგორ ხედავ, გესმის და არ შეგიძლია, წინ აღუდგე იმას, რაც ხდება...

ის თან ადამიანია, თან გამოგონილი, მახინჯი არსება... ყველაფერს მწვანე, სიცოცხლის ფერი დაჰკრავს და მთელი ორი მოქმედების მანძილზე იმედს გვისახავს, რომ ოდესმე ამ ტირანიას ბოლო მოეღება, მაგრამ ბოლოს ირკვევა, რომ ეს მწვანე სწორედ ტირანიისა და ძალაუფლებისკენ დაუოკებელი ლტოლვის მარადიულობის სიმბოლოა...

მაკბეტი და ბენკო (ანდრია გველესიანი, ბექა კულიჯანაშვილი) ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება უერთგულესი ადამიანებიც კი გააგიჟოს ძალაუფლების წყურვილმა.

ანდრია გველესიანის გმირი ერთობ წარმოსადეგი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდაა, რომელიც თავგანწირვით იბრძვის დანკანისათვის (გიორგი გოგუაძე). მსახიობი ქმნის ინდივიდუალურ სახეს მებრძოლისა, რომელიც ბუნებრივად გადაიზრდება სისხლისმსმელ ტირანში, თუმცა ხანდახან მისი ქმედება ძალიან ერთფეროვანი და მოსაწყენი ხდება, განსაკუთრებით იქ, სადაც მონოლოგები ან დიალოგები აქვს, თუმცა საბოლოო ჯამში, ეს მსახიობი ახერხებს, შექმნას ის სახე, რომელიც პიესაშია მოცემული, ხმის ტემბრი და ფიზიკური მხარე სრულიად აძლევს საშუალებას, წარმოაჩინოს მაკბეტის გმირი მთელი „დიდებულებით“. თეთრი მოსაცმელები, რომლებიც წარმოდგენის დასაწყისში სრულიად სუფთაა, ნელ-ნელა სისხლით იღებება და ცოდვები, რომლებსაც ისინი სჩადიან თავიანთი ბატონისთვის, უფრო და უფრო ამძიმებს.

დატრიალებული ამბის მთავარი გმირები კუდიანები არიან, მაგრამ ვინ არიან ეს კუდიანები? დედოფალი — ლედი დანკანი და მისი სეფექალი (მედეა ახალაძე და ნინო იოსელიანი). დიახ, ისინი გვევლინებიან კუდიანებად, ისინი ხლართავენ მთელ ამ ინტრიგებს, შავბნელ საქმეებს... ალქაჯი დანკანის ცოლია, ალქაჯი ლედი მაკბეტია, ალქაჯი დანკანის ქვრივია... და ეს პერიპეტიები უსასრულოდ გაგრძელდება. არაჩვეულებრივია ამ ორი მსახიობის (მედეა ახალაძე და ნინო იოსელიანი) ტანდემი, ვინაიდან ისინი ახერხებენ, ერთდროულად წარმოადგინონ სცენაზე ალქაჯები, შიშისმომგვრელი არსებები და დედოფალი და მისი სეფექალი.

საინტერესოა, როგორ შემოჰყავს რეჟისორს დანკანის პერსონაჟი სცენაზე, ის ერთი პატარა ადამიანია, რომელსაც ძალაუფლება ჩაუვარდა ხელთ და ახლა მზადა, ყველასა და ყველაფერს გადაუაროს, ეს ინფანტილური, ჭირვეული ბავშვი, რომელიც დედის კალთას არ მოშორებია და, მაშინაც კი, როდესაც მის სიცოცხლეს პატარა საფრთხე დაემუქრება, მზადაა, ისევ „დედას“-ცოლს მიეკედლოს, ან კიბის ქვეშ შეძვრეს და ისე დაემალოს საფრთხეს. გარდა იმისა, რომ ეს პერსონაჟი ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანია, მსახიობი გიორგი გოგუაძე კიდევ უფრო ნათლად ხსნის მის ხასიათს სცენაზე და ყოველი მოქმედებით, მიმიკით, ხმის ინტონაციითა და ტემბრის ცვალებადობით ერთიან სახეს ქმნის მლიქვნელი, მშიშარა და მედროვე ხელისუფლისა, რომელიც თავისუფალ დროს ქსოვს, მაგრამ ამ უწყინარ საქმიანობას მშვენივრად უთავსებს მკვლელობასა და სისხლის ღვრას. არ გვტოვებს შეგრძნება, რომ მოქმედება დღეს და აქ ხდება, ყველაფერი ეს ძალიან რეალურია, ძალიან ახლოსაა ჩვენთან...

მაკბეტსა და ბენკოს, თავდაპირველად, უდანაშაულოდ დაღუპული ხალხის სისხლი აწუხებთ, შემდეგ კი ეს სისხლი მათი საკვები ხდება და... იწყებენ კავდორისა და გლამისის მსგავსად, მათივე ტექსტებით, რეპლიკებით შეთქმულებას, ძალაუფლების სურვილი მათ მოღალატეებად აქცევს, აკარგვინებს ადამიანურ სახეს, მაგარამ თანამედროვე სამყაროში არსებობსღა ადამიანური სახე? რეჟისორი მთელი ამ სპექტაკლის მანძილზე მსუბუქად გვახსენებს, ვართ კი ჩვენ ის არსებები, რომლებსაც შეგვიძლია ძალაუფლების გამო ადამიანების სისხლი არ ვსვათ, ერთმანეთი არ ვხოცოთ და საკუთარ ძმას სარეცელი არ შევუბილწოთ? საინტერესოდ აქვს რეჟისორს გადაწყვეტილი სცენა, სადაც დანკანი მაკბეტსა და ბენკოს თანამდებობებსა და მიწებს პირდება, ვხედავთ, როგორ იწყება მაკბეტის ფერისცვალება, რომელსაც იმავდროულად აცდუნებს ლედი დანკანი... ამ სახელმწიფოში ჩაის იქიდან მიირთმევენ, სადაც ისაქმებენ, ღამის ქოთნები მათი სავიზიტო ბარათია!

შემზარავია სცენა, სადაც ალქაჯები უწინასწარმეტყველებენ მაკბეტისა და ბენკოს გმირებს მომავალს, საიდანაც იწყება მათი საბოლოო განადგურება, გარყვნა. მაკბეტი, ბენკო, ლედი დანკანი აწყობენ შეთქმულებას და თავიდან იშორებენ დაკნანს — ქსოვისას. გიორგი გოგუაძის დანკანი არასრულფასოვანი არსებაა, ის თითქოს საჭურისია, თითქოს არატრადიციული ორიენტაციის, გიჟი, მშიშარა რომელიც ხან ერთ მსახურს პირდება სიმდიდრეს, ხანაც — მეორეც, ოღონდ საკუთარი თავი გადაარჩინოს, მეტიც, მზადაა, საკუთარი ცოლიც გაწიროს, მაგრამ მას სწირავენ და უყენებენ სიკვდილის გზას, სანაცვლოდ, თვითონ იკავებენ მის ადგილს, სისხლიანი სკამი ზეციდან ეშვება და ის დაუმსახურებლად გადაეცემა მაკბეტს, რომელიც სისხლში დგამს ფეხებს და ისე ადის სამეფო ტახტზე, ის გვირგვინს იდგამს და სულ უფრო და უფრო ეფლობა ამ ცოდვის მორევში, სადაცაა დადგება მისი მეგობრის აღსასრული...

ყველაფერი უფრო და უფრო პირქუში ხდება, სუნთქვა — შეუძლებელი... თუ დანკანის დროს ერთი იყო აირწინაღით, ახლა ყველა აირწინაღშია, მხოლოდ მკვდრები ახერხებენ აირწინაღის გარეშე „გამოცხადებას“. აირწინაღიანები ემსახურებოდნენ დანკანს, ახლა ემსახურებიან მაკბეტს, მოემსახურებიან შემდეგსაც, მაგრამ მაკბეტის შემდეგ უარესი ტირანი ევლინება ქვეყანას.

სცენაზე გაუთავებელი მკვლელობებია, თუმცა თეატრალურად, სხვადასხვაგვარად გადაწყვეტილი — დანკანს საქსოვი ჩხირებით განგმირავენ და საკუთარი მეუღლე ძაფით მოახრჩობს, ბენკოს მკვლელობისას მაკბეტი ჰაერში გამოკიდულ ბუშტს ხეთქავს და სცენაზე სისხლი იღვრება, მაკბეტის მკვლელობისას მაკოლი ჰაერის ბუშტებს ხეთქავს და წითელი ბუმბულები ეფინება სცენას... სპექტაკლის ბოლოს ლედი დანკანი მიწით სავსე ტომარას ხევს და ასამარებს მაკბეტს.... დიახ, მაკბეტს და არა ბოროტებას. სპექტაკლის ფინალში შექსპირის მაკბეტი დაჰყურებს მკვდარ მაკბეტტს, ისმის ზურაბ ყიფშიძის ხმა — ზურაბ ყიფშიძე ახმოვანებს შექსპირის მაკბეტს, კითხულობს ცნობილ მონოლოგს, რომ ცხოვრება მხოლოდ ჩრდილი ყოფილა, მოარული ტაკიმასხარა....

ამ სამყაროში ყველაფერი ციკლურია, ცხოვრებას საზრისი არ აქვს, ბოროტებას კი — დასასრული. ეს მასხარამაც იცის, რომელიც თავში ხელის ეფექტური შემორტყმით გვამცნობს ვაებას, იცის და გოდებს, რომ ამ მოჯადოებულ წრეზე კიდევ ერთხელ მოუწევს თავიდან გავლა.

სასტუმრო ეიცვალეგულთათვის

იაპონიის ქალაქ იოკოჰამას გარეუბანში მდებარე სასტუმრო, სახელწოდებით Lastel, არაფრით განსხვავდება სხვა ნებისმიერი ოტელისგან — ის ზოგჯერ „სასიყვარულო“ დაწესებულება ჰგონიათ, სადაც წყვილებს რამდენიმე სასიამოვნო საათის გატარება შეუძლიათ, თუმცა რეალურად, ნაცრისფერი ფილებით მოპირკეთებული შენობა სასტუმროა გვამებისთვის და იქ 18 გარდაცვლილის „დაბინავება“ შეიძლება. კლიენტებს ვაფრთხილებთ, რომ მხოლოდ ცივი ნომრები გვაქვს, — აცხადებს სასტუმროს მფლობელი, რომლის Lastel-ში ერთი დღის გატარება 12000 იენი (157 დოლარი) ღირს. ამ თანხის გადახდის შემდეგ, ოჯახი, რომელმაც ახლობელი დაკარგა, გვამს ნომერში მოათავსებს და მშვიდად დაელოდება თავის რიგს კრემატორიუმში. ახლა, როცა ამომავალი მზის ქვეყანა უძრაობის პერიოდშია, სიკვდილი სარფიან ბიზნესად იქცა. ბოლო წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სიკვდილიანობა და ვარაუდობენ, რომ ეს მაჩვენებელი 2040 წელს პიკს მიაღწევს, როცა დემოგრაფიული აფეთქების დროს დაბადებული იაპონელების თაობა გაქრება. ამ პერიოდისთვის ქვეყნის მოსახლეობაც 20 მილიონამდე შემცირდება. მიუხედავად ეკონომიკური ვარდნისა, აქაურები დაკრძალვის ცერემონიზე ეკონომიას არ აკეთებენ და დაახლოებით 1,2 მილიონ იენს (16000 დოლარი) ხარჯავენ ყვავილებზე, ურნაზე, კუბოსა თუ სხვა საჭიროებაზე, რაც წელიწადში, დაახლოებით, 21 მილიარდ დოლარს შეადგენს.

0-ვარსკვლავიანი სასტუმრო

შვეიცარიის ქალაქ სეველენში მსოფლიოში პირველი 0-ვარსკვლავიანი სასტუმრო გაიხსნა — Null Stern Hotel-ს 54 ადამიანის დაბინავება შეუძლია, თუმცა გარეგნულად ის სამხედრო ყაზარმას უფრო წააგავს. იქ არაა ცალკე ნომრები და თავად სასტუმრო მიწისქვეშ მდებარეობს. საქმე ის გახლავთ, რომ დაწესებულება ოტელად ატომური ბუნკერიდან გადააკეთეს და აქედან გამომდინარე, შენობას არც ფანჯრები აქვს, ხოლო ერთადერთი კავშირი გარესამყაროსთან დიდი მონიტორია, რომელზეც კამერაა მიერთებული. სველი წერტილი სასტუმროში მხოლოდ ერთია, ცხელი შხაპის მიღებასაც მხოლოდ „ტოროლები“ ასწრებენ და ასეთი სერვისისთვის ფასიც შესაბამისია — Null Stern Hotel-ში დღე-ღამის გატარება 10 დოლარი ღირს და ალბათ ამის გამო სასტუმროში თავისუფალი ადგილები პრაქტიკულად არასოდესაა.

სუნამოს აბები

პარფიუმერიის სამყაროში ნამდვილი რევოლუცია ხდება. სწავლულები მუშაობენ ისეთი სუნამოს შექმნაზე, რომელსაც კაფსულის ფორმა ექნება და შეგეძლებათ წამალივით გადაყლაპოთ. ეს სასწაული აბები, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიოლოგმა და ავსტრალიელმა დიზაინერებმა შექმნეს, ადამიანის კანს განუმეორებელი არომატის ფრქვევის საშუალებას აძლევს. სუნამოს მოლეკულები კანის მეშვეობით გამოიყოფა, არომატის პოტენციალი კი განისაზღვრება ინდივიდის ტემპერატურის, სტრესის, ფიზიკური დატვირთვისა თუ სექსუალური ლტოლვის რეაქციით. სუნამოს გადაყლაპვით კანი ერთგვარი პულვერიზატორი ხდება, — აცხადებენ სიახლის ავტორები და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ დაუსრულებიათ რევოლუციურ გამოგონებაზე მუშაობა, უკვე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა უკუეფექტს გამოიწვევს ორგანიზმში სუნამოს აბი.

გულჯეთილი ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ

აშშ-ს მიჩიგანის უნივერსიტეტის სპეციალისტთა გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ვინც სხვებს ეხმარება, უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე ისინი, ვინც ამას მხოლოდ გამორჩენისთვის აკეთებს ან საერთოდ არ ზრუნავს გარშემომყოფებზე. ხანგრძლივმა ექსპერიმენტმა, რომელშიც ერთი ასაკის ადამიანები მონაწილეობდნენ, აჩვენა, რომ 70 წლის ასაკში ალტრუისტების 1,6% გარდაიცვალა, უფრო გულგრილ ადამიანებში კი ეს მაჩვენებელი 4,3% იყო. ამასთან, კვლევისას ითვალისწინებდნენ სიცოცხლის ხანგრძლიობის სხვა ფაქტორებსაც. გამოკვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ მოტივაცია, რომელიც კეთილ ადამიანებს ამოძრავებს, მათთვის ერთგვარი ბუფერია პოტენციური სტრესისგან დასაცავად.

გენეტიკური მუტაცია მეხსიერებას აუმჯობესებს

კანადელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს გენეტიკური მუტაცია, რომელიც მეხსიერების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. მკვლევართა აზრით, ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს ახალი პრეპარატების შექმნას, რომელიც ალცჰეიმერისა და სხვა ნეიროდეგენერაციული დაავადებების მკურნალობას გააადვილებს. თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტისას მონრეალის უნივერსიტეტის სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მღრღნელები, რომელთაც eIF2a-გენის (ის პროტეინის სინთეზის კოდირებას ახდენს) დეფექტური ვერსია ჰქონდათ, უკეთ ასრულებდნენ დავალებებს. კერძოდ, აუზში გაშვებული მუტანტი-თაგვები ადვილად პოულობდნენ წყალქვეშ მცირე პლატფორმას და ფეხზე დგებოდნენ. მკვლევარების თქმით, მუტანტი გენის მქონე მღრღნელები თანამოძმეებისგან ისევე გამოირჩეოდნენ, როგორც პიროვნება, რომელსაც ერთი წაკითხვით შეუძლია ტექსტის დაზეპირება. იმის დასამტკიცებლად, რომ თაგვების უჩვეულო უნარი სწორედ მუტაციურ გენს — eIF2a-ს უკავშირდება, მეცნიერებმა ცხოველების ორგანიზმში ხელოვნურად გაზარდეს ამ პროტეინის დონე, რის შემდეგაც აშკარად გამოვლინდა მეხსიერების დარღვევის ნიშნები. კანადელი სწავლულების მოსაზრებით, პრეპარატებმა, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში ცილა eIF2a-ს ბლოკვას, შესაძლოა, დიდი დახმარება გაუწიონ ავადმყოფებს, რომლებიც მეხსიერების დაკარგვით იტანჯებიან.



იაპონელებს უსწორმასწორო კბილები მოსწონთ

ტოკიოს ერთ-ერთი სტომატოლოგიური სალონი ადგილობრივ ახალგაზრდებში უზომოდ პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც რეკლამა გაუწია კოსმეტიკურ პროცედურას, რომლის დროსაც ე.წ. ეშვებს აგრძელებენ და ამახვილებენ. შედეგად მიიღება დაგრეხილი კბილები, რასაც იაპონელები yaeba-ს უწოდებენ. დასავლეთში ასეთი კბილები ნაკლად ითვლება, ამომავალი მზის ქვეყანაში კი, პირიქით, ულტრამოდურია. იაპონელებისთვის წინ გამოშვერილი და წამახვილებული კბილები ისეთივე მომხიბვლელია, როგორც ჩვენთვის ჭორფლი ან ჩაჩვრეტილი ლოყები. ეს სტომატოლოგიური პროცედურა განსაკუთრებით პოპულარული გოგონებშია. ზოგი ამბობს, რომ ასეთი გარდასახვის შემდეგ კატას ემსგავსება და უფრო მიმზიდველი ხდება, სხვები კი ამბობენ, რომ ასეთი უმნიშვნელო დეფექტის გამო იაპონელი ლამაზმანები, იდეალური მოდელებისგან განსხვავებით, უფრო „ხელმისაწვდომები“ ჩანან. აღსანიშნავია, რომ ბევრ იაპონელ ცნობილ ადამიანს უსწორმასწორო კბილები აქვს. ნაცვლად იმისა, რომ ბრეკეტები გაიკეთონ, ისინი სიამაყით „გამოფენენ“ ხოლმე ამ ნაკლს და უფრო პოპულარულები ხდებიან.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელევიკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31
www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge
თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

სუდოკუ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	4			1		9		6
	2		9					
6	1		7			3		
2		5						
1	9						8	7
						6		5
		3			5		1	2
					8		5	
8		1		3			6	

სუდოკუ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	1							8
3			2					
	6	7		3		5		
	7		1			4	5	
			7		6			
	8	3			2		7	
		4		7		2	1	
					9			3
6							4	

სუდოკუ ᲠᲗᲣᲚᲘ

	6			3		1		8
			7					2
	9							
		2	6					9
6			5		3			1
4					8	5		
							4	
3					9			
5		1		4			6	

სუდოკუ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

2	4		5			7		
	1		3		4		8	5
							2	
					3	1	9	
4				6				3
	2	1	8					
	3							
5	8		6		2		1	
		2			9		4	8

პატარა გოგონა აგურებს ჭამს

აშშ-ში, ინდიანას შტატში მცხოვრები 4 წლის ნატალი ჰეიჰერსტი, იშვიათი გადახრის გამო გამუდმებით საფრთხეში იგდებს თავს. გოგონას როცა შივდება, მისი არჩევანი კანფეტი ან ნამცხვარი კი არა, ქვები, ჯოხები, აგურები, ნათურები და სხვა საგნებია, რისი ჭამაც მეტად სარისკოა. ნატალის მშობლების თქმით, ერთხელ ჰოჰონამ მთელი აგური ისე შეჭამა, თითქოს შოკოლადის ფილა იყო. საბედნიეროდ, მას შუშა არ უყვარს, მაგრამ რაც კი ბაღში ხელში მოხვდება, ყველაფერი პირისკენ მიაქვს. ამ მავნე მისწრაფების აღკვეთის მცდელობამ შედეგი არ გამოიღო — ბავშვი უბრალოდ თავს ვერ ერევა. მედიკოსებმა ნატალის PICA — ე.წ. გადაგვარებული მადა დაუდგინეს. ამ გადახრის მქონე ადამიანებს საკვებად უვარგისი საგნები უღვიძებს მადას და მედიცინამ დღემდე ამ დაავადების მიზეზები ვერ დაადგინა, არც მკურნალობის უნივერსალური მეთოდი არსებობს. ექსპერტები ავადმყოფის ქცევის გამოსწორებას სწორი საქციელის წახალისებით ან ფსიქოლოგების დახმარებით გვთავაზობენ.

საუზმის გამო შეყვარებულს უჩივლა

ლატვიელმა მამაკაცმა პოლიციას მეგობარ ქალზე საჩივრით მიმართა. როცა გამოძახების ადგილზე სამართალდამცავები მივიდნენ, მამაკაცმა განუცხადა, რომ შეყვარებულმა საუზმის მომზადებას ხანგრძლივი ძილი არჩია და მშიერი დატოვა. პოლიციელებმა კონფლიქტის ორივე მონაწილეს განმარტებითი სამუშაო ჩაუტარეს და გააფრთხილეს, რომ მოუმზადებელი საუზმის გამო მათი გამოძახება არ ღირდა, თუმცა „ბრალდებულ“ გოგონას ახსნა-განმარტებითი ბარათის დაწერა მაინც მოუწია. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, შეყვარებულით უკმაყოფილო მამაკაცის მიერ სამართალდამცავების გამოძახება — პირველი უჩვეულო ზარი არ ყოფილა. ბოლო დროს ლატვიელ პოლიციელებს ოჯახური კონფლიქტის გასარჩევადაც დაუძახეს — იატაკზე დაღვრილი სუპის მოწმენდა არც ერთ მეუღლეს არ სურდა.

ლუდის „სასწრაფო დახმარება“

აშშ-ში, ლუდსახარშმა ღედ რიცკ რეწინგ ლუდის სასწრაფო დახმარების სპეციალური სამსახური ეერბულანცე შექმნა, ასეთი მომსახურების არსი კი საკმაოდ მარტივია: „სასწრაფოს“ თანამშრომლები სოციალური ქსელის — „ტვიტერის“ ან ტელეფონის მეშვეობით შეკვეთას იღებენ მათგან, ვისაც ლუდი შემოაკლდა. ზარის დაფიქსირების შემდეგ, ლუდის სასწრაფო დახმარების მანქანა „შემთხვევის ადგილზე“ სიგნალით მიემართება. ეერბულანცე-ს შეუძლია „პაციენტი“ ადგილზევე „გადაარჩინოს“, ანუ ლუდი მიუტანოს, საჭიროების შემთხვევაში კი მისი „ჰოსპიტალიზაციაც“ მოახდინოს, რაც „პაციენტის“ ახლომდებარე ლუდის ბარში გადაყვანას გულისხმობს. ამ უჩვეულო იდეის ავტორი ატლანტელი რეკლამის დიზაინერი ჯოშ რობინსონია, რომლის წყალობითაც ეერბულანცე ქალაქის ნამდვილ სიმბოლოდ გადაიქცა.

სექსზე ყარი დანაშაულია?

ხართ თუ არა ვალდებული, მეუღლესთან ინტიმური ურთიერთობა გქონდეთ? — ნიცის მოსამართლემ 51 წლის მამაკაცი 8500 ევროთი იმის გამო დააჯარიმა, რომ ცოლთან ინტიმური ურთიერთობა არ ჰქონდა. მოსამართლემ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით იხელმძღვანელა, სადაც წერია, რომ სექსუალური ურთიერთობა ქორწინების ნაწილი უნდა იყოს. ეპოქაში, როცა ქვეყნების სამართლებრივმა სისტემამ აღიარა ქორწინებაში ძალადობა დანაშაულად, სექსზე უარის თქმის სარჩელის დაკმაყოფილება ნამდვილად დამაფიქრებელია. ქორწინებაში ადამიანების სექსუალური ინტერესი და სურვილი შეიძლება დაქვეითდეს ნებისმიერ მომენტში ფიზიკური, ემოციური თუ ფსიქიკური მიზეზების გამო, ალბათ არასწორია, პარტნიორს უჩივლო და გარკვეული სასჯელი დააკისრო.

„ბედნიერების დიეტა“

იტალიელმა მეცნიერმა კატანძაროს უნივერსიტეტიდან განსაზღვრა იმ პროდუქტის სია, რაც ადამიანს სიბრაზისა და გაღიზიანებისგან თავის დაღწევაში დაეხმარება: შოკოლადი, ხიზილალა, რძე, ყველი, ქათმის, ღორისა და საქონლის ხორცი, ნიგოზი... მკვლევარმა შეძლო, მეცნიერულად დაემტკიცებინა, რომ კარგი განწყობის საფუძველი „სწორი კვებაა“, რომელიც ამინომჟავა ტრიპტოფანს შეიცავს. ასეთი პროდუქტი, როგორც წესი, ანტიდიეტურია, თუმცა სწავლული ამტკიცებს, რომ ადამიანმა ყოველდღიურად უნდა მიიღოს არანაკლებ 350 გრამი ამ „ოპტიმისტური“ პროდუქტისა. ეს ხელს უწყობს სტრესის თავიდან აცილებას, ამცირებს აგრესიას, გაღიზიანებისა და ნეგატიური ემოციების მართვის საშუალებას იძლევა. იტალიელი მეცნიერი დარწმუნებულია, რომ „ტრიპტოფანის დიეტა“ ისეთ ფსიქოლოგიურ დაავადებებს განკურნავს, როგორიცაა დეპრესია და სუიციდისადმი მიდრეკილება. მეცნიერს ეჭვი არ ეპარება, რომ გამხდარი ადამიანები უფრო ბოროტები არიან, ვიდრე მსუქნები, სწორედ ტრიპტოფანის ნაკლებობის გამო.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	6	7	1	4	3	9	5	8
4	5	8	7	2	9	1	3	6
3	1	9	8	5	6	2	7	4
9	4	6	5	3	2	8	1	7
8	7	3	6	1	4	5	2	9
1	2	5	9	8	7	6	4	3
6	9	2	4	7	1	3	8	5
7	8	1	3	9	5	4	6	2
5	3	4	2	6	8	7	9	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	9	4	7	6	5	1	3	2
5	7	3	1	4	2	9	8	6
6	2	1	3	9	8	7	5	4
9	4	8	5	3	6	2	7	1
7	6	5	4	2	1	8	9	3
3	1	2	8	7	9	4	6	5
4	5	9	6	1	7	3	2	8
2	3	6	9	8	4	5	1	7
1	8	7	2	5	3	6	4	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	4	2	1	9	8	5	7	6
1	9	6	3	7	5	8	4	2
8	7	5	6	4	2	1	3	9
9	5	1	4	3	6	7	2	8
7	8	4	2	1	9	6	5	3
6	2	3	8	5	7	9	1	4
5	3	7	9	8	4	2	6	1
2	1	9	7	6	3	4	8	5
4	6	8	5	2	1	3	9	7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	9	1	4	3	5	8	7	2
7	5	3	8	2	1	6	4	9
2	8	4	7	6	9	5	1	3
9	4	7	3	1	6	2	5	8
1	6	5	2	9	8	7	3	4
3	2	8	5	7	4	9	6	1
8	1	2	6	4	7	3	9	5
5	7	9	1	8	3	4	2	6
4	3	6	9	5	2	1	8	7

მე-12 გვერდი: 1. ბლიცკრიგი; 2. სპლიყვი; 3. ბრაჟელონი; 4. ინსტანცია; 5. კვიცი; 6. „პონტიაკი“; 7. იშთარი; 8. ვალკირია; 9. „ფაუსტი“; 10. ბახალა; 11. ნიუ; 12. „ნათელა“; 13. ოაზისი; 14. ბიორკი; 15. ებანი; 16. უცხო; 17. კუ; 18. რაი; 19. კლანი; 20. ზია; 21. იანი; 22. არია; 23. აპისი; 24. ორბიტა; 25. ბარიბალი; 26. მაია; 27. „მილანი“; 28. აკურა; 29. პალანკინი; 30. სემინარი; 31. რაში; 32. შალიაპინი; 33. ლემანია; 34. სპა; 35. ტონა; 36. ადმა; 37. პან; 38. არვე; 39. აარონი; 40. ბელი; 41. ანონსი; 42. პიანო; 43. იპოლიტე; 44. დაიაენი; 45. მონა; 46. მესკია; 47. არარა; 48. „კია“; 49. პაბი; 50. ინი; 51. ბარძიმი; 52. ზილფი; 53. ორლი; 54. აპია; 55. პლენერი; 56. ფინია; 57. ბრუნეი; 58. ბალონი; 59. სე; 60. ჩიჩია; 61. ვილია; 62. ლაპი; 63. ცხრა; 64. სკა; 65. ედემი; 66. ამაო; 67. ნატაშა; 68. კირზა; 69. აჩუ; 70. ევა; 71. მაორი; 72. ნუნცია; 73. კვახი; 74. ვეჩელიო; 75. შივა; 76. ინფანტი; 77. ვასაბი; 78. ლუპა; 79. რკო; 80. მესი; 81. მესა; 82. კუპე; 83. მარად; 84. რქა; 85. ორმო.



1. ყურძნის მტევნის მხარი, რომელზეც ორი-სამი მარცვალია
2. ნიგერიის დედაქალაქი
3. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული
4.შაჰის მიერ ირანში გაწვ. მეფის ნაცვლად დატოვ. პირი
5. მთელი ეკიპაჟის მუშაობა გემზე
6. იაკობ გოგებაშვილის მმობლიური სოფელი
7. ყველაზე დიდი ქვეყნის ნაწილი
8. სხვა პირის სახელით მოქმედი პირი
9. ერთ-ერთი აფრიკული ენა
10. უნგრეთის დედაქალაქის ნაწილი
11. უსინათლოთა შრიფტის ავტორი
12ზღაპრული ცხოვ. რომელიც სუნთქვით კლავს ცოცხალ არსებას
13. მძიმე ლით. გოგორდმეჯავა მარილის ტექ. სახელწოდება
14. გოჩას ბავშვობის მეგობარი „მამლუქში“
15. ბალახის ჩრდილი
16. ხრიკი, ფანდი
17. ჰიტლერის ნაშრომი „... კამპფ“
18. მომკილი პურის ღეროები
19. ერნესტო ... გევარა
20. საგანთა ჩამონათვალი
21. პარკოსანი მცენარე
22.ყინულზე სასრიალო იალქნიანი ნავი
23. ამაზონის დელფინი
24.ცეცხლთაყვანის-მცემელთა ქურუმი
25. იაპონური საბრძოლო ხელოვნება
26. პოეტი ... ჩიქოვანი
27. საოჯახო ელექტროხელსაწყო
28. ამერიკელი მსახიობი
29. ბოტსვანის დედაქალაქი
30. ჭრილობებში მიკრობების მოხვედრის ასაცილებელ ღონისძიებათა ერთობლიობა
31მოწყობილ, რომელიც ავტომატ. უკრავს ფორტეპიანოს
32. ზღვის მტაცებელი თევზი
33.შეძახილი კონც. ნომრის გამეორების მოთხოვნით
34. რუსეთის ეროვნული ვალუტა
35. კოლუმბის ერთ-ერთი კარაველა
36. შვლის ნუკრი დისნეის მულტფილმში
37.დედამიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
38. თეატრის კოლექტივი
39. თევზის ქონიდან მიღებული თხევადი ცხიმი
40. ბაბლუანის ფილმი „უძინართა ...“
41. კოცონზე დამწვარი ფილოსოფოსი
42.ფედერიკო ფელინის მმობლიური ქალაქი
43.აშშ-ის კონაკად. პრეზი
44.„ილიადას“ ავტორი
45. დაფქვის საზღაური წისქვილში
46. დედის ან მამის მამა
47.სპილენძის სასიგნალო ჩასაბერი საკრავი
48. სემის, ქამის და იაფეტის მამა
49.საფრანგეთის ტახტის მემკვიდრის ტიტული
50. „12 სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
51. მსახიობი ... ვინორია
52.„გრემის“ მფლობელი ბრიტანელი მომღერალი
53. ბაღის დეკორატიული ყვავილი
54. ბრიტანული მედიაკორპორაცია
55. ძვ. ეგვიპტის დედაქალაქი
56.ესპანელი ფერმწერი
57. იაპონური ბრინჯის არაყი
58. პატარა ტყე მინდორში
59. სამეურნეო მუშაკი
60. მთავარი მსაჯი
61 სიდუმლო პლ. დაგლეჯით გაგზავნილი პირი
62.მცხეთელი ებრაელი, რომელმაც ქრისტეს კვართი საქართველოში ჩამოიტანა
63.დედამიწის ბრტყ. გამოსახ.
64.იგივეა, რაც ბურუსი
65. თვლებიანი მომცრო საზიდარი
66. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
67. კანის ჯირკვლებიდან გამონადენი სითხე
68. ინგლისური ტრადიციული ლუდი
69.ტაძარი, სადაც ქურუმები წინასწარმეტყველებდნენ
70. ლათინური ანბანის მეათე ასო
71. ტაილანდის ძველი სახელწოდება
72. თურქული ტელესერიალი
73. დროის დიდი მონაკვეთი, ეპოქა
74. ცხენის გასარეკი შეძახილი
75. სომხური გვარების წინსართი
76. ძაღლის ჯიში
77. თმის მცენარეული საღებავი
78. მდინარე ქართლში
79.ზარის ფორმის საგანი
80. დირიჟაბლების იტალიელი მშენებელი
81. დილის პანგი ტრუბადურთა პოეზიაში
82.სპორტული ნავი
83. უფრთო ფრინველი
84. სასიგნალო ტივტივა წყალზე
85.პატიმრობა, რომელიც შეერთებულია მძიმე იძულებით მუშაობასთან
86. იგივეა, რაც ბზრიალა (სათამაშო)

გოგონამ სლოკინის წამალს მიაგნო

სლოკინისგან თავის დაღწევა ხშირად ძნელია, 13 წლის ამერიკელმა მელორი კივმანმა კი ამ პრობლემის გადაწყვეტის გზა მონახა — სლოკინის საწინააღმდეგო საწუწნი აბების რეცეპტი მოიგონა, რომელსაც Hiccupops უწოდეს. გოგონა ხშირად იტანჯებოდა შეტევით, ამიტომაც ორი წლის წინ უნივერსალური წამლის შექმნა დაისახა მიზნად. მან ბევრი ხალხური მეთოდი მოსინჯა სლოკინის წინააღმდეგ, მაგრამ არც ერთმა სასურველი შედეგი არ მოუტანა. თუმცა, მელორის ამის გამო განზრახვაზე ხელი არ აუღია, აგრძელებდა ექსპერიმენტებს და საბოლოოდ, მოიფიქრა კიდეც თავისი „ჯადოსნური“ აბები. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, პატარა გამომგონებელმა საკუთარ სამზარეულოში აღმოაჩინა ის, რასაც ეძებდა — მან ჯოხიანი საწუწნი კანფეტი, ვაშლის ძმარი და შაქარი ერთ „მგრგვინავ“ და გემრიელ ნაერთად აქცია, რამაც საბოლოოდ Hiccupops-ის სახე მიიღო. ის ყელსა და პირში სლოკინთან დაკავშირებული ნერვების ჯგუფზე ზემოქმედებს. ნერვები ზედმეტად სტიმულირდება, რის შედეგადაც სლოკინი წყდება, — ხსნის მელორი. ამ აღმოჩენის შემდეგ გოგონამ მაინც არ მოისვენა, სურდა, საკუთარი პროდუქტი მთელი მსოფლიოსთვის გაეცნო, ცოტა ხნის წინ დამფინანსებელიც იშოვა და 13 წლის ბიზნესლედის პროექტი უკვე ზაფხულიდან ჩაეშვება წარმოებაში.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ: ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.